

"24 საათის" ფიქციანი ნომერი

*2424

დაისვენეთ ნახშირ

A6



ციფრული როკარის ჯრა

A5



"ღია კარის ღღე" ზანტაფონში

A7



24 საათი

"24 საათის"

ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:



ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს



შენი სადაზღვევო ჯგუფი

პატიმრები ვადაზა ადრე გაათავისუფლეს

28 აგვისტოს, მარიამობის დღესასწაულზე, პრეზიდენტმა პატიმრების შეწყალების აქტს მოაწერა ხელი. ამ დღეს შეწყალება სულ 238 პირს შეეხო.

შენწყალების სახელმწიფო კომისიამ მიხეილ სააკაშვილს იმ 256 პატიმრის საქმე მიანოდა, რომლებიც საკუთარ დანაშაულს ინა-

ნიებდნენ და ქვეყნის პრეზიდენტს თავისუფლების დაბრუნებას სთხოვდნენ. სხვათა შორის, შეწყალების კომისიის გარდა, პრეზიდენტს საკუთარი სია საპატრიარქოშიც მიანოდა. შეწყალებულ პატიმართა სიაში 30 არასრულწლოვანი იყო, რომელთა ნაწილმა ეროვნული გამოცდები წარმატებით ჩააბარა.

შენწყალების კომისიის თავმჯდომარე ელენე თევდორაძის განცხადებით, ვადაზე ადრე გათავისუფლდნენ როგორც მსუბუქი დანაშაულებისთვის მსჯავრდებული ქალი და არასრულწლოვანი პატიმრები, ისე მძიმე დანაშაულებისთვის ნასამართლევი ის ადამიანებიც, რომლებსაც სასჯელის უმეტესი ნაწილი მოხდი-

ლი აქვთ ან რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა არასტაბილურია.

საბოლოოდ, სასჯელაღსრულების დანესებულებები პრეზიდენტის მიერ შეწყალებულმა 169 პატიმარმა დატოვა, 69 მსჯავრდებულს კი შეუმცირდა მოსახელად დარჩენილი სასჯელი.

ბაზრძილაბა A2 გვერდზე


ამერიკის სენატის ღობი - ედვარდ კენედი

ივა ზილაკაძე

მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 25 აგვისტოს, 77 წლის ასაკში გარდაიცვალა ლეგენდარულ ძმებ კენედების უკანასკნელი წარმომადგენელი, "დემოკრატიული პარტიის" ერთ-ერთი "ბურჯი", სენატორი მასაჩუსეტისის შტატიდან ედვარდ კენედი. მას შარშან მაისში ექიმებმა ტვინის ავთვისებიანი სიმსივნე დაუდგინეს. ის ერთადერთია ოთხ ძმას შორის, რომელიც ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა. მისი უფროსი ძმა ჯოზეფი მეორე მსოფლიო ომის დროს ავიაკატასტროფაში დაიღუპა, პრეზიდენტი ჯონ კენედი 1963 წელს და პრეზიდენტობის კანდიდატი რობერტ კენედი კი 1968 წელს მოკლეს.

ედვარდ კენედიმ სენატორის ადგილი 1962 წელს დაიკავა. ეს ადგილი ერთი წლით ადრე მისმა ძმამ ჯონმა პრეზიდენტად არჩევის შემდეგ გაათავისუფლა. ედვარდ კენედის თითქმის 47 წლის მანძილზე მუდმივად ეკავა სენატორის პოსტი და იგი სტაჟით მესამე ადგილზეა მოქმედ სენატორ რობერტ ბერდისა და რამდენიმე წლის წინ გარდაცვლილ სტრომ ტერმონდის შემდეგ. პოლიტოლოგები აღნიშნავენ, რომ სენატორი კენედი თითქმის ნახევარი საუკუნე ამერიკის ლიბერალური პოლიტიკის წამყვანი ფიგურა იყო, განსაკუთრებით ჯანდაცვისა და განათლების საკითხებში.

ბაზრძილაბა A3 გვერდზე



ისტორიული მნიშვნელობის არჩევნები იაკონიაში

იაკონიის პარლამენტის ქვედა პალატაში არჩევნები ჩატარდა, რომელშიც ოპოზიციურმა "დემოკრატიულმა პარტიამ" გაიმარჯვა. ამით მთავრდება კონსერვატიული "ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის" დომინანტობა, რომელიც ქვეყანას 1955 წლიდან

უცვლელად მართავდა. იაკონიის პარლამენტის ქვედა პალატა ირჩევს პრემიერ-მინისტრს და ამტკიცებს ბიუჯეტს. ხმების დათვლა საარჩევნო უბნების დაკეტიდან ერთ საათში დაიწყო, ჯერ ცნობილია მხოლოდ წინასწარი შედეგები, მაგრამ "დემოკრატიული პარ-

ტიის" უპირატესობა იმდენად აშკარაა, რომ ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ტარო ასომ დამარცხება აღიარა. მან სატელევიზიო გამოსვლაში კონკურენტებს გამარჯვება მიულოცა და განაცხადა, რომ დატოვებს "ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის" თავმ-

ჯდომარის პოსტს. ტარო ასო 2008 წლის სექტემბრიდან იყო პრემიერ-მინისტრი, ახლა კი ამ პოსტს, სავარაუდოდ, "დემოკრატიული პარტიის" ლიდერი იუკიო ხატოიამა დაიკავებს.

ბაზრძილაბა A3 გვერდზე

ნატო-სა და რუსეთის უთანხმოების მიზეზი კვლავ საქართველოა

ნატო-ს გენერალურ მდივან ანდერს ფოგ რას-მუსენის განცხადებით, ნატო-სა და რუსეთის ურთიერთობებში დადებითი ძვრები შეინიშნება.

"ჩვენ ბევრ საკითხში გვაქვს უთანხმოება. საქართველო ერთ-ერთი მათგანია. მაგრამ ეს არ უშლის ხელს იმ ფაქტის აღნიშვნას, რომ უსაფრთხოების საკითხში ერთიანი მუქარებიც გვაქვს," - აღნიშნა თურქეთში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა რას-მუსენმა. რას-მუსენის თქმით, ნატო-მ და რუსეთმა ერთობლივად უნდა იმუშაონ ისეთ საკითხებზე, როგორებიც არის ტერორიზმი, ბირთული იარაღის გავრცელება და საზღვაო მეკობრეობა. **მედიაინფო**

"ქართველ მესაზღვრეებს მამისონის უღელტეხილი არ დაუტოვებიათ"

ქართველ მესაზღვრეებს მამისონის უღელტეხილი არ დაუტოვებიათ. შს-ს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი შოთა უტიამილი უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს ე.წ ნიკოლოზის ხიდის აფეთქების შემდეგ ქართველმა მესაზღვრეებმა უკან დაიხიეს და სოფელ გლოლას მიმდებარე მდინარეში განთავსდნენ. სოფელ გლოლაში მცხოვრები მოსახლეობის განცხადებით, ვიდრე ე.წ ნიკოლოზის ხიდი აფეთქდებოდა, ქართველი მესაზღვრეები მამისონის უღელტეხილზე მდებარე მეტეოსადგურს აკონტროლებდნენ, ხიდის აფეთქების შემდეგ კი მათ უკან რამდენიმე კილომეტრით დაიხიეს და სოფელ გლოლასთან განლაგდნენ. მამისონის უღელტეხილისკენ მიმავალ გზაზე ე.წ ნიკოლოზის ხიდი 11 ივნისს ააფეთქეს. ამ დროისთვის კი იმავე ადგილას უკვე ახალი რკინის კონსტრუქციის ხიდი ფუნქციონირებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

შამბა: რუსეთი აფხაზეთის აკვატორიას დაიცავს

აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი შამბას მტკიცებით, რუსეთი აფხაზეთის აკვატორიაში სასაზღვრო ძალებს გააზღვრის. ამის შესახებ შამბამ "ეხო მასკვის" ეთერში განაცხადა. "ეს შეესაბამება შეთანხმებას საზღვრის ერთობლივი დაცვის შესახებ, რომელსაც ჩვენ მოვანერეთ ხელი. ზღვაზე ამჟამად ისეთი სიტუაციაა, რომ საჭიროა სასაზღვრო ზომების," - განაცხადა შამბამ.

სეპარატისტების საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, რუსეთი, საქართველოს ხელისუფლების პროტესტის მიუხედავად, აფხაზეთის ტერიტორიულ წყლებში მყოფი გემების უსაფრთხოების დაცვას განაგრძობს. შამბას განმარტებით, შავ ზღვაზე ამჟამად შექმნილი ვითარება საგანგაშოა და აუცილებელია სასაზღვრო ზომების მიღება. "ეხო მასკვისთან" საუბარში სეპარატისტების საგარეო საქმეთა მინისტრმა ქართული მხარის მიერ ბოლო პერიოდში აფხაზეთიდან გამოსული ან აფხაზეთში მიმავალი გემების დაკავება გააპროტესტა. შამბას თქმით, ნელს ქართულმა მხარემ რამდენჯერმე დააკავა მშვიდობიანი გემები, რომლებსაც ტვირთი აფხაზეთში ან აფხაზეთიდან მიჰქონდათ. შამბას მტკიცებით, ამგვარ ქმედებებს ქართული გემები ნეიტრალურ წყლებში ახორციელებენ.

ცნობისათვის - 2009 წელს ქართულმა მხარემ ოკუპირებული ტერიტორიების წყლებში შესვლის წესების დადგენისთვის 4 გემი დააკავა. რამდენიმე კვირის წინ ქართულ მხარემ სოხუმისკენ მიმავალი პანამის დროშის ქვეშ მცურავი გემი დააკავა. ქართული მხარის განცხადებით, გემს კონტრაბანდული გზით, საქართველოსთან შეუთანხმებლად დიდი რაოდენობით სანავიგაციო და ნავთობპროდუქტები გადაჰქონდა. ოკუპაციის კანონის თანახმად, საქართველოსთან შეუთანხმებლად ოკუპირებულ ტერიტორიებზე ნებისმიერი გადაადგილება და ბიზნესის წარმოება კანონგარეშედ მიიჩნევა და ისჯება.

ქართულმა მხარემ აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი შამბას განცხადებას უპასუხა.

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე შოთა მალაშხიას განმარტებით, საერთაშორისო სამართლის ნორმებით, საქართველოს სრული უფლება აქვს, გააკონტროლოს საზღვაო აკვატორია.

"ეს შეიძლება ფიზიკურად ყველა გემის მიმართ ვერ ხერხდებოდეს, მაგრამ ამის შესაძლებლობები აუცილებლად გვექნება. მეტიც, შევეცდებით და იმედი, ამას ბევრი დრო არ დასჭირდება, რომ მთლიანად აღვადგინოთ კონტროლი აფხაზეთის ტერიტორიებზე," - აცხადებს მალაშხია. **საკუთარი ინფორმაცია**

პატიმრები ვადაზა ადრა ბათავისსუფლას

პირველი გვერდიდან

სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა დიმიტრი შაშინმა საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების განკარგულება ორ მსჯავრდებულს თავად გადასცა. მინისტრმა დაწესებულებიდან ის ორი მსჯავრდებული გამოაცილა, ვინც პატიმრობის პერიოდში ერთიანი ეროვნული გამოცდები ჩააბარა.

თუმცა, როგორც პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო ირწმუნება, მიმდინარე წელს პატიმართა გათავისუფლება ამით არ დასრულდება.

სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ინფორმაციით, სექტემბერში შეიქმნება პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხთა განმხილველი ცხრაკაციანი საბჭო. საბჭოში, სამინისტროს წარმომადგენელთა გარდა, ასევე შევლენ საპარლამენტო უმცირესობის ან პარლამენტს გარეთ მყოფი ოპოზიციის, ასევე არასამთავრობო სექტორის, სახალხო დამცველის და საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები.

ამასთან, შეიქმნება სამკაცია-



ნი კომისიებიც, რომლებიც უშუალოდ მოაზრდებენ იმ პატიმართა სიას, რომლებიც შესაძლოა, ვადაზა ადრა ბათავისსუფლად იყოს გათავისუფლებული. ამ კომისიის მიერ მომზადებულ საქმეებს ცენტრალური საბჭო ზეპირი მოსმენით განიხილავს და პატიმრის გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს.

პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხთა განმხილველი საბჭო სამ თვეში ერთხელ შეიკრიბება. პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხთა განმხილველი საბჭო პრეველ სხდომას, სავარაუდოდ, სექტემბრის ბოლოს გამართავს. საბჭო, სავარაუდოდ, 400-მდე

პატიმრის საქმეს დააკმაყოფილებს.

სასჯელალსრულების დაწესებულება ვადამდე გათავისუფლების მექანიზმით მიმდინარე წლის აგვისტოში 195-მა მსჯავრდებულმა დატოვა.

საკუთარი ინფორმაცია

MIGA-ს აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი დღეს საქართველოს ენვესა

ნირო ნარაჩანაშვილი

"მრავალმხრივი საინვესტიციო გარანტიების სააგენტოს" (MIGA) აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი უზუმი კობაიაში, რომელიც მსოფლიო ბანკის ჯგუფში პოლიტიკური რისკებისგან დაცვის საკითხებზე აგვისტოს დასრულდა საქართველოს ენვესა. უზუმი კობაიაშის მისია უზუმი კობაიაში და საქართველოში სიტუაციის შეფასების მიზნით ხორციელდება. ვიზიტი 25 აგვისტოს დაიწყო და 1 სექტემბერს დასრულდება. სამივე ქვეყანაში კობაიაში მთავრობის ოფიციალურ პირებს და

მოწინავე კერძო კომპანიების წარმომადგენლებს ხვდება. შეხვედრების დროს განიხილება საინვესტიციო პოტენციალი და ის ღონისძიებები, რომელიც განხორციელებას MIGA-ს აღნიშნულ ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროექტების მხარდასაჭერად შეუძლია. თბილისში ვიზიტის დროს უზუმი კობაიაში ხელს მოაწერს "ურთიერთგაგების მემორანდუმს" "საინვესტიციო რისკების მენეჯმენტის სააგენტოსთან" ერთობლივი საინფორმაციო კამპანიის განხორციელების შესახებ, რომლის მიზანსაც საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტიმულირება

და ხელშეწყობა წარმოადგენს. მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებული პროგნოზის მიხედვით, განვითარებად ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება 2009 წელს 30 პროცენტით შემცირდება, რაც, დაახლოებით, 385 მილიარდ აშშ დოლარით ნაკლებია 2008 წლის 583 მილიარდ აშშ დოლართან შედარებით და 2007 წლის 520 მილიარდ აშშ დოლართან შედარებით. უზუმი კობაიაშის განცხადებით, "MIGA-ს ბაზრის სტაბილიზაციის ფუნქციის შესრულება შეუძლია. არსებულ გაურკვეველ სიტუაციაში მას შეუძლია, ინვესტორებს რისკის შემცირებაში,

ხოლო ქვეყნებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში დაეხმაროს".

ამჟამად MIGA დახმარებას უწევს ყაზახეთის ფინანსურ სექტორს, სადაც მან ახლახანს გარანტიებით უზრუნველყო "ATF ბანკი" და შსს "რაიფაიზენ ლიზინგ ყაზახსტანი". MIGA-ს მიერ ყაზახეთში ჩადებული თანხების მთლიანი ოდენობა 225 მილიონ აშშ დოლარს უტოლდება. რაც შეეხება უზუმი კობაიაშის საქართველოს, ამ ეტაპზე MIGA-ს ამ ქვეყნებში პროექტები არა აქვს. ეს მომავლის პერსპექტივა გახლავთ.

პარლამენტის 75 თანამშრომელი დღეს სამსახურიდან ბათავისსუფლდება

დღეს, 31 აგვისტოს, პარლამენტის 75 თანამშრომელი სამსახურიდან გათავისუფლდება. საქართველოს პარლამენტში დაგეგმილი ოპტიმიზაციის ფარგლებში 75 თანამშრომელი გათავისუფლდა და 8 განყოფილება გაუქმდა.

ოპტიმიზაცია პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძის

17 ივლისის ბრძანების საფუძველზე განხორციელდა. მასში ოპტიმიზაციის მიზნად დეპუტატების 235-დან 150-მდე შემცირება დასახელებული.

ბრძანების თანახმად, შეიქმნა შესაბამისი კომისია პარლამენტის აპარატის თავმჯდომარე დავით ჯანიაშვილის ხელმძღვანელობით.

აღნიშნულმა კომისიამ ოპტიმიზაციის მიზნით პარლამენტის კომიტეტების თავმჯდომარეებს, პარლამენტის აპარატის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს მათ სტრუქტურულ ერთეულებში შესაბამისი ანალიზის ჩატარება დაავალა. კერძოდ, მათ უნდა გაეანალიზებინათ თანამდებობრივი

ინსტრუქციებით განსაზღვრული ფუნქციები, მომუშავეთა უფლებამოსილებები და მათ მიერ განეული საქმიანობა.

აღნიშნული სამუშაოს ჩატარების შედეგად მიიღეს 75 თანამშრომლის გათავისუფლების გადაწყვეტილება. ამის შესახებ 75-ვე თანამშრომელს წერილობით ეცნობა. **ჯი-ეიჩ-ენი**

გაზეთი "24 საათის" გამოცემაში შსს "გვს". რედაქტორ-გამომცემელი: მამუკა ფარქაშვილი, პაატა მუხამაძე.

რედაქცია: სოფიო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: შაია ჭალავანიძე (საზოგადოება, Weekend), ინგა ალავეცი (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი),

სოფო კილაშინია (რევიუ), ვახა ფარქაშვილი (სპორტი). **რედაქცია და პარკინგის მენეჯერი:** ირაკლი ლევაკო ტელ: 899 22 09 49. **ქმედითარული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქორია, ნინო ყაველაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. **ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ:** 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). **ფაქსი:** 31-93-86. **ელ-ფოსტა:** public@24hours.ge

ამერიკის სენატის ღოზი - ედვარდ კენედი

პირველი გვერდიდან

2006 წელს ჟურნალ "ტიმ-მა" იგი ამერიკის საუკეთესო სენატორების ათეულში დაასახელა - მან სენატში გაიტანა "კანონპროექტა ტიტანური სია, რომელიც პრაქტიკულად თითოეული ამერიკელი მამაკაცის, ქალისა და ბავშვის სიცოცხლეს შეეხება". ედვარდ (იგივე ტედ) კენედი ისტორიაში შევიდა, როგორც ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური და პოპულარული კანონმდებელი.

1970-იანი წლების დასაწყისისთვის, როდესაც უოტერგეტის სკანდალი აგორდა, ის უკვე გამოცდილი სენატორი იყო და აქტიურად ამოქმედდა რესპუბლიკელ რიჩარდ ნიქსონის ადმინისტრაციას. კენედის თავისი პიროვნული თვისებების, გამოცდილებისა და გავლენის საფუძველზე პარტიული კუთვნილების მიუხედავად შეეძლო კავშირების შექმნა. ის სენატში, ჯორჯ ბუშ უმცროსთან ერთად, წარადგინდა საკანონმდებლო ინიციატივას განათლების სფეროში, ხოლო რესპუბლიკელ სენატორ ჯონ მაკკეინთან ერთად იცავდა რეფორმებს იმიგრაციის სფეროში. ამის მიუხედავად, ის ბუშის ადმინისტრაციის აქტიური კრიტიკოსი იყო, განსაკუთრებით ერაყის ომისა და დაპატიმრებულითა წამებისთან დაკავშირებულ საკითხებში.

ედვარდ კენედი უდიდესი როლი ითამაშა ისეთი კანონების მიღებაში, როგორებიც არის: აქტი სამოქალაქო უფლებების შესახებ (1964 წელი), აქტი ამომრჩეველთა უფლებების შესახებ (1965 წელი), აქტი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების შესახებ (1990 წელი) და აქტი ოჯახური და სამედიცინო მიზნებით შევსების თაობაზე (1993 წელი).

ბის მქონეთა შესახებ (1990 წელი) და აქტი ოჯახური და სამედიცინო მიზნებით შევსების თაობაზე (1993 წელი). მას აქტიური მოღვაწეობა მოუწია კონსერვატიზმის ბატონობის პერიოდში, ჯერ რეიგანის, შემდეგ კი უფროსი და უმცროსი ბუშების მმართველობის წლებში და ამით მისი როლი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. დღეს, როდესაც საპრეზიდენტო არჩევნებსა და კონგრესში დემოკრატებმა გაიმარჯვეს, ამერიკის დღის წესრიგში ჯანდაცვის რეფორმის - საყოველთაო სამედიცინო დაზღვევის შექმნის საკითხი დგას, რომელსაც კენედი თავისი ცხოვრების მთავარ საქმეს უწოდებდა. ამ რეფორმის საფუძველზე ის წლების განმავლობაში ქმნიდა და ამ საქმეს გადამწყვეტ მომენტში ავადმყოფობისა და გარდაცვალების გამო გამოეთიშა. ამ რეფორმის განხორციელება ალბათ მის "პროტეჟე" ბარაკ ობამას მოუწევს, რომელიც აქტიურად იბრძვის კონგრესში აღნიშნული რეფორმის დასამტკიცებლად. კენედი მოქმედ პრეზიდენტს ჯერ კიდევ პარტიული პრაიმერის პერიოდში აქტიურად დაუჭირა მხარი. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ობამამ ედვარდ კენედი ამერიკის უმაღლესი სამოქალაქო ჯილდოთი - პრეზიდენტის თავისუფლების მედლით დააჯილდოვა.

1980 წელს ედვარდ კენედი-მაც სცადა პრეზიდენტის პოსტისთვის ბრძოლა, მაგრამ ის ჯერ კიდევ პარტიული არჩევნების პერიოდში ჩამორჩა მოქმედ პრეზიდენტ ჯიმი კარტერს. ედვარდ კენედის საპრეზიდენტო ამბიციების "დასამარებაში" გადამწყვეტი ალმონი-და 1969 წლის ინციდენტი, როდესაც მას ორთვიანი პირობითი სასჯელი გამოუტანეს "უბედური შემთხვევის ადგილის მიტოვების გამო". სენატორის მიზნით მომხდარი ავტოავარიის შედეგად (ლიმუზინი, რომელსაც ტედ კენედი მართავდა, არხში გადავარდა) მისი თანამგზავრი დაიღუპა. დამოუკიდებლად კენედი მისი გადარჩენა ვერ შეძლო, პოლიციას კი უბედური შემთხვევის შესახებ მხოლოდ მეორე დღისას აცნობა. ედვარდ კენედი თეთრ სახლში ვერ მოხვდა, მაგრამ თავიდან აიცილა კენედების გვარის მდევარი ბოროტი ბედისწერა (ძმების გარდა, მისი ოჯახის სხვა წევრებიც ნაადრევად სხვადასხვა უბედური შემთხვევისა და ავადმყოფობის გამო დაიღუპნენ. ავიაკატასტროფაში დაღუპული მისი ძმისშვილიც, ჯონ კენედის ვაჟი), იცხოვრა აქტიური პოლიტიკური ცხოვრებით და სიბერეში გააღვივებინა მეგობრები და მრავალრიცხოვანი სანათესაო პყავდა გვერდში. სხვათა შორის, როდესაც ის საპრეზიდენტო კამპანიას ჩამოშორდა, ამ გადაწყვეტილების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ოჯახის სურვილი დაასახელა.

ნეკროლოგებში კენედი მოიხსენიებულია როგორც "ლიბერალიზმის უკანასკნელი ლომი", "მუშათა კლასის და ღარიბების დამცველი", "დემოკრატების უპირველესი ოჯახის პატრიარქი" და სხვა. მის პოპულარობასა და მის მიმართ მოქალაქეების პატივისცემას მოწმობს კენედის უკანასკნელ გზაზე გასაცემლად მისული ხალხის რაოდენობაც.

ედვარდ კენედისთან გამოსათხოვებლად ბოსტონის მახლობლად ჯონ კენედის სახელობის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკის შენობაში, დაახლოებით, 50 ათასი ადამიანი მივიდა. სამგლოვიარო პროცესიას ათასობით ამერიკელი მიჰყვებოდა. პროცესია ვაშინგტონში კაპიტოლიუმის ბორცვთან შეჩერდა, სადაც გარდაცვლილის ოჯახის წევრებმა მადლობის ნიშნად ხელი ჩამოართვეს სენატორის აპარატის ყველა წევრს, რომლებიც მასთან მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდნენ. ედვარდ კენედი შაბათს, 29 აგვისტოს, სამხედრო პატივით დაკრძალეს არლინგტონის სასაფლაოზე ვირჯინიის შტატში, თავისი ძმების ჯონისა და რობერტის გვერდით.

გამოსათხოვარ სიტყვაში პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ედვარდ კენედის "თავისი დროის უდიდესი კანონმდებელი" უწოდა. "ის იყო დემოკრატიული პარტიის სული და ამერიკის სენატის ღოზი," - თქვა შეერთებული შტატების პრეზიდენტმა. ობამამ განაცხადა, რომ "დამთავრდა ჩვენი ისტორიის მნიშვნელოვანი თავი, ჩვენმა ქვეყანამ დაკარგა უდიდესი ლიდერი, რომელმაც აიტაცა თავისი დაცემული ძმების ჩირაღდანი და გახდა ჩვენი დროის უდიდესი ამერიკელი სენატორი". ობამას გარდა, დაკრძალვის ცერემონიას ესწრებოდნენ ექს-პრეზიდენტები ჯორჯ ბუში უმცროსი, ბილ კლინტონი, ჯიმი კარტერი, აგრეთვე სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი და ოთხმოცამდე მოქმედი და ყოფილი ამერიკელი სენატორი.

ოპოზიცია კვლავ სამზადისშია

არასაპარლამენტო ოპოზიცია ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის ახალ გეგმას სექტემბრის მეორე ნახევარში გაახმოვანებს. როგორც ე.წ. რადიკალური ოპოზიციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, "მოძრაობა - ერთიანი საქართველოსთვის" გენერალურმა მდივანმა ეკა ბესელიამ განაცხადა, სამომავლო გეგმის შესახებ ოპოზიციურ ძალებს შორის ინტენსიური კონსულტაციები მიმდინარეობს.

"ვფიქრობ, სექტემბრის პირველი ნახევარი კონსულტაციების შედეგების შესაჯავებლად იქნება გამოყენებული. თვის ბოლოსთვის კი ყველა პარტია საკუთარ პოზიციას გაახმოვანებს," - განმარტა ბესელიამ.

მისივე თქმით, არსებული ხელისუფლების რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი რაუნდის ძირითადი ელემენტი კვლავ საპროტესტო აქციები იქნება. **ჯი-ეი-ენი**

უგზო-უკვლოდ დაკარგულთა საერთაშორისო დღე საქართველოში

30 აგვისტო უგზო-უკვლოდ დაკარგულთა საერთაშორისო დღეა. გუშინ აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგული ჯარისკაცები გაიხსენეს და დღის მძაოთა სასაფლაოზე პატივი მიაგეს. ძმთა სასაფლაოზე მისული იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე გია ბარამია და მთავრობის სხვა წევრები.

ბარამიამ დაათვალიერა უგზო-უკვლოდ დაკარგული მებრძოლთა ფონდ "მოლოდინის" მუზეუმი, სადაც გამოფენილია შესაბამისი ფოტომასალა. როგორც ბარამიამ განაცხადა, ამ დროისთვის ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში დაკარგულად, დაახლოებით, 2 000 ადამიანი ითვლება.

"აქედან 1 100 მშვიდობიანი მოქალაქეა როგორც აფხაზეთის, ასევე ცხინვალის რეგიონიდან. დანარჩენები (დაახლოებით 470 კაცი) ის მებრძოლები არიან, რომლებიც ამ რეგიონებში ცხოვრობდნენ. უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების მიმართულებით აქტიურად მუშაობს როგორც სახელმწიფო კომისია, ასევე არასამთავრობო სექტორი," - განაცხადა გია ბარამიამ.

ბარამია იმედოვნებს, რომ ქართველი დედების წუხილს აფხაზი დედებიც გამოეხმაურებიან და თუ ვინმეს რაიმე ინფორმაცია აქვს უგზო-უკვლოდ დაკარგულთა საფლაოების შესახებ, ქართულ მხარეს აცნობებენ.

როგორც ფონდ "მოლოდინის" ხელმძღვანელმა ნინელი ანდრიაძემ განაცხადა, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების მიმართულებით ამ ეტაპზე აფხაზეთში მხარესთან ინტენსიური კავშირები აღარ არის. "რუსული აგრესიის შემდეგ ეს კონტაქტები შესუსტდა, ხოლო რაც შეეხება ცხინვალის რეგიონს, შედარებით შესუსტდა ურთიერთობები მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში იქ ედუარდ კოკოითი მოვიდა," - განაცხადა ნინელი ანდრიაძემ.

დღის მძაოთა სასაფლაოზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის 57 მებრძოლია დაკრძალული.

უგზო-უკვლოდ დაკარგულთა საერთაშორისო დღე საქართველოში 2004 წლიდან აღინიშნება. **საკუთარი ინფორმაცია**

27.08.2009
კორ სტანდარტ ბანკი
ინოვაცია, როგორც ტრადიცია!

ამა წლის 27 აგვისტოს კორ სტანდარტ ბანკის სათაო ოფისში გაიმართა ანაბრების აქციის მესამე გათამაშება. გათამაშებას ესწრებოდა ბანკის მენეჯმენტი, ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი, პრესა.

მესამე გათამაშების გამარჯვებული გახდა შალვა კოვზირიძე რომელმაც მოიგო სამოგზაურო ვაუჩერი, 2 ადამიანზე, ქვეყანას კი თავად აირჩევს. „ანაბრების აქციის“ გათამაშების თარიღები:

- პირველი გათამაშება	26.06.2009
- მეორე გათამაშება	31.07.2009
- მესამე გათამაშება	27.08.2009
- მეოთხე გათამაშება	25.09.2009
- მეხუთე გათამაშება	30.10.2009
- მეექვსე გათამაშება	27.11.2009

ისტორიული მნიშვნელობის არჩევნები იაკონიაში

პირველი გვერდიდან

დემოკრატები ამომრჩევლებს ეკონომიკის გამოცოცხლებას შეპირდნენ. ამას მომხმარებლებისთვის თანხების გამოყოფისა და ბიუროკრატის პოლიტიკური უფლებების შეზღუდვის გზით აპირებენ, რათა შეამცირონ არასანარმოო ხარჯები და ეს თანხა უფრო ეფექტიანად გამოიყენონ. ხატოიამა და მისი პარტნიორები სოციალური პროგრამების გაზრდის პირობასაც იძლევიან. დემოკრატების პროგრამის კიდევ ერთი პუნქტია საგარეო პოლიტიკის ცვლილება, კონკრეტულად - ამერიკიდან მეზობელ ქვეყნებზე აქციენტების ნაწილობრივი გადატანა.

ამომრჩეველთა აქტიურობა ძალიან მაღალი იყო, ეს წინასწარი ხმის მიცემის მაჩვენებლებზეც აისახა. ათი დღის განმავლობაში, 19-დან 28 აგვისტომდე, ხმა მისცა თითქმის თერთმეტმა მილიონმა ადამიანმა, რაც წინა საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით 1,6-ჯერ მეტია და მთელი ელექტორატის 10.5 პროცენტს შეადგენს. ეს არჩევნები, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, იაკონიის პოლიტიკისთვის გარდამტეხი გახდა.

იაკონიაში დღეს რეკორდულად მაღალია უმუშევრობის



მაჩვენებელი, ბევრისთვის არჩევნებზე წასვლის საბაბი შეიძლება გამხდარიყო არა რომელიმე პარტიის საარჩევნო პროგრამა, არამედ, უბრალოდ, ცვლილებების სურვილი. დაახლოებით, ასეთი შედეგი იყო მოსალოდნელი სოციოლოგიური კვლევებითაც. მაგალითად, გაზეთ "იომიურის" გამოკითხვის მიხედვით, პრემიერის პოსტზე იაკონელთა 47 პროცენტს

იუკიო ხატოიამას ხილვა სურს და მხოლოდ 22 პროცენტი უჭერდა მხარს მოქმედ პრემიერ ტარო ასოს. ოფიციალური შედეგები დღეს დილით გახდებოდა ცნობილი.

ინტერვიუ საქართველოში ყაზახეთის რესპუბლიკის დროებით რწმუნებულთან - ბატონ ივორ მუსალიმოვთან

30 აგვისტოს, ყაზახეთში კონსტიტუციის მიღების დღეს შეიძლება. ზუსტად 15 წლის წინ, 1995 წლის 30 აგვისტოს, ყაზახმა ხალხმა რესპუბლიკურ რეფერენდუმზე მოიწონა და მხარი დაუჭირა ახალი კონსტიტუციის პროექტს. მას შემდეგ 30 აგვისტო ყაზახეთის რესპუბლიკაში სახელმწიფო დღესასწაულადაა გამოცხადებული. საქართველოში ყაზახეთის რესპუბლიკის დროებითი რწმუნებული - ბატონი ივორ მუსალიმოვი თბილისიდან უერთდება, ყაზახი ხალხის ამ საერთო ზეიმს და ჩვენთან კონსტიტუციის იმ უდიდეს მნიშვნელობებზე საუბრობს, რამაც ყაზახეთის რესპუბლიკის თავბრუდამხვევ წარმატებებში ფუნდამენტის როლი შეასრულა.



პირელ რიგში ნება მოგვეცით მივულოცოთ ყაზახ ხალხს კონსტიტუციის დღე. თუ შეიძლება გვიამბეთ როგორ აღნიშნავენ ამ დღეს ყაზახეთში?

- "დიდი მადლობა მოლოცვისათვის. ეს მართლაც მნიშვნელოვანი დღეა ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქისათვის. 1995 წლის 30 აგვისტოს, რესპუბლიკურ რეფერენდუმზე მიღებული იქნა ახლანდელი კონსტიტუცია და ყაზახეთმა მსოფლიოს თავი წარუდგინა სახელმწიფოდ, რომელსაც გააჩნია საკუთარი მსოფხედველობა, ეროვნული ყოფა, ტრადიციები და საკუთარი მომავლის ხედვა.

არავის და არასოდეს ექნება უფლებები, გარდა იმ უფლებებისა, რომელსაც თავად მოიპოვებს და შეინარჩუნებს - ეს მშვენივრად იცოდა ჩვენმა პრეზიდენტმა - ნურსულთან ნაზარბაევმა, როცა ის მასშტაბურ ამოცანებს გეგმავდა. ეს ჯერ კიდევ ის დრო იყო, როცა ეჭვქვეშ დგებოდა ჩვენი ეკონომიკური და პოლიტიკური პოტენციალი. ჩვენ ხომ ყველაფერი არარსებული ეკონომიკითა და გაუმართავი პოლიტიკური სისტემით დავინწყეთ. ჩვენ მხოლოდ ერთი გამოსავალი გვქონდა - მულჩრაუსრელი შრომა, იმისთვის რომ ძლიერი სახელმწიფო აგვეშენებია.

- ძირითადი საკანონმდებლო პროექტის შემუშავება საპაუზის-

მგებლო ამოცანაა. შეცდომას, უზუსტობას შეუძლია მძიმე შედეგებამდე მიიყვანოს საქმე. როგორ აიცილებთ თავიდან სარისკო შეცდომები?

- "ძირითად საკანონმდებლო პროექტზე მუშაობისას განხილული იქნა სხვადასხვა კონსტიტუციები. ჩვენთვის მთავარი იყო გავვეგო განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მყოფ ქვეყნებში, სხვადასხვა სოციალურ-კულტურულ გარემოში კონსტიტუციები როგორ წყვეტდნენ მთავარ ამოცანებს - სტაბილურობას, ადამიანთა კეთილდღეობასა და დემოკრატიის განვითარებას.

გარდა ამისა, კონსტიტუციაზე მუშაობისას ჩვენ ვითვალისწინებდით ჩვენს საკუთარ დამოუკიდებლობის 5-წლიან გამოცდილებასზე, რომელმაც საშუალება მოგვცა გამოგვეყო პრიორიტეტები, მიზნები და საშუალებები მათ მისაღწევად.

ჩვენ აგრეთვე გვყავდა გამოცდილი ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც

საკონსტიტუციო პროექტზე საერთო-სახალხო მსჯელობის შედეგად შემოსულ 30 000-მდე წინადადებას ანალიზს უკეთებდა.

თითქმის 10 წლიანი დაძაბული მუშაობა გახდა საჭირო, რომ მთელი მსოფლიო ალაპარაკებულიყო "ყაზახურ ფენომენზე". მის შესახებ წრდნენ ჟურნალისტები, მის შედეგებზე სპეციალისტები ანალიზს აკეთებდნენ. თქვენი აზრით რაშია ამ ფენომენის საიდუმლო?

- "მე ვფიქრობ, რომ ჯერ კიდევ 1991 წელს, ჩვენი დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე, შემუშავებული იქნა ჩვენი წარმატების ფორმულა: ეს 130 ეროვნება და 40 კონფესიაა, რომელიც ერთ მთლიან ძალას - ყაზახეთის მოქალაქეებს შეადგენენ. ვფიქრობ, რომ ამ დიდი ეროვნული თანხმობის გარეშე ჩვენ წარმატებებს ვერ მივადნევედით. ეს ფასეულობები გაცილებით უფრო ძლიერი და ეფექტურია ერის წარმატებისთვის, ვიდრე ოქროს ვალუტის მარაგები."

12 წლის შემდეგ ყაზახეთში ჩატარდა ახალი საკონსტიტუციო რეფორმა. თქვენი კომენტარი

- "პირველი შესწორება ჯერ კიდევ 1998 წელს იქნა შეტანილი, რაც ითვალისწინებდა სახელისუფლებო ინსტიტუტების შემდგომ დემოკრატიზაციას - პარლამენტის უფლებების გაფართოებას, გარკვეული კატეგორიის თანამდებობებზე არჩევნებს, მოქალაქეთა საზოგადოებრივი კავშირების მოღვაწეობის ჩართვას ქვეყნის ცხოვრებაში.

2004 წლისთვის აღებული იქნა კურსი პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიზაციისკენ. ჩვენი ლიდერის ღრამა რწმენით ქვეყნის გაძლიერება წარმოუდგენელია დემოკრატიული პროცესების გარეშე. პოლიტიკურმა რეფორმამ აუცილებლად მხარი უნდა დაუჭიროს ეკონომიკურ გარდაქმნებს. ეს პროცესები ყაზახეთში შეუქცევადი გახდა და სწორედ ამიტომაც მიღებული იქნა გადაწყვეტილება საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის."

ეკონომიკური რეფორმები და პოლიტიკური ლიბერალიზაცია ეს ერთმანეთზე დამოკიდებულ პროცესებია..

- "რა თქმა უნდა, მაგრამ ისინი მოითხოვენ სიფრთხილეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნაკლებად კურნულ ეკონომიკურ გარემოში და ჩამოყალიბებულ სამოქალაქო საზოგადოებაში რადიკალური პოლიტიკური რეფორმების გატარება დე-სტაბილიზაციას გამოიწვევდა. ამიტომ მთავარი საკითხი - დემოკრატიული გარდაქმნების დაჩქარება გახდა.

საკონსტიტუციო რეფორმა 2007 წელს დაიწყო. ის საკმაოდ ფართო კომპლექსურ ცვლილებებს შეიცავს. მათ შორის საპრეზიდენტო-საპარლამენტო მმართველობის ფორმას, პარლამენტის წევრთა რაოდენობის გაზრდას, "ყაზახი ხალხის ასამბლეის" არჩევას, ქვედა პალატის პროპორციული სისტემით არჩევნებს და ა.შ."

საერთაშორისო დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ ნურსულთან ნაზარბაევის საკანონმდებლო ინიციატივებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს OBCE-ს წარმომადგენლობაში 2010 წლისთვისთვის ყაზახეთის არჩევის სისწორე.

- „აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დიალოგში ყაზახეთის, როგორც შუამავლის როლი ყოველთვის ეფექტური იყო. ამის მაგალითი ბევრია: სწორედ ასტანამ უმასპინძლა მსოფლიო რელიგიების ლიდერთა სამ ყრილობას, მუსლიმანურ და დასავლეთის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების ფორუმს „საერთო მსოფლიო, პროგრესი მრავალფეროვნებაში“ და. პ. შ. „

როგორ იმოქმედა ეკონომიკურმა კრიზისმა საკონსტიტუციო ცვლილებების ამოქმედებაზე?

- „სწორედ საკონსტიტუციო ცვლილებებმა მოგვცა საშუალება ძალების სწრაფი მობილიზაციისა. სწორედ იმის გამო, რომ ნურსულთან ნაზარბაევი დარწმუნებული იყო ხალხის მხარდაჭერაში, მან ხელისუფლებას მისცა არასტანდარტული გადაწყვეტილებების მიღების უფლება.

ყოველ სახელმწიფოს კრიზისთან ბრძოლის საკუთარი მეთოდები აქვს. რამდენად ეფექტურია ეს რეცეპტი ამას მომავალი გვიჩვენებს.

- „მართალია, კრიზისთან ბრძოლა დღევანდელი დღის ამოცანაა, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია გავუმკლავდეთ ხვალინდელ დღეს. სტრატეგიული დოკუმენტი - „კრიზისის გავლით განახლებისა და აღორძინებისაკენ“, ფაქტობრივად ნურსულთან ნაზარბაევის მიმართვა ყაზახი ხალხისადმი, სადაც განსაზღვრულია ქვეყნის განვითარების პოსტკრიზისული პრიორიტეტები. მისი მთავარი მიმართულებებია მოდერნიზებული ეკონომიკა და სახელმწიფოს მიერ მკაცრად შესრულება ყველა სოციალური ვალდებულებებისა.

- სპეციალისტებისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა ნურსულთან ნაზარბაევის პოსტკრიზისული ქვეყნის განვითარების ინდუსტრიული ინოვაციური გეგმა. ეს გეგმა ექსპერტთა წრეში უკვე მოინათლა, როგორც „პოსტკრიზისული გარდევვის გეგმა.“ ეს კი ყაზახეთის ხვალინდელი დღეა."

(მასალა მოამზადა საქართველოში ყაზახეთის რესპუბლიკის საელჩომ)

საზაფხულო 25%-იანი ფასდაკლება

Tucson



17 550

Santa Fe



24 500

Sonata



19 400

HYUNDAI i30



15 200

Drive your way

HYUNDAI www.hyundai.ge 51 77 99

თვალის მიკროქირურგიის

ჯ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი ს

კლინიკა

" ო ფ თ ა ლ მ ი ჯ ი "

ერთადერთი კლინიკა 8 ზვილიაღით და ერთი მოქრავი საოპერაციო ბლოკით

SLT-ლაზერი
გლაუკომის ქირურგიაში

ოფთალმოქირურგიული ტექნიკის უკანასკნელი მიღწევა

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

ციფრული როჯერის ერა

ბობ ჰოსკინსმა ფილმის სიკვლეში მონაწილეობაზე უარი განაცხადა

თანამედროვე კინოს ისტორიაში არიან რეჟისორები, რომლებმაც თავის დროზე საკუთარ თავზე ნოვატორის ტვირთი აიღეს და პრაქტიკულად ახალ ჟანრს თუ ტექნოლოგიურ ნოვატიას დაუდეს საფუძველი. ამ მხრივ ყველაზე აქტიური რობერტ ზემეკისია, რომლის შარშანდელმა "ბეოვულფამაც" motion-capture-ს ტექნოლოგია დაამკვიდრა, ხოლო ოცი წლის წინ, 1988 წელს მისმა ფილმმა "ვინ დაასმინა კურდღელი როჯერი" იმ დროისთვის სრულიად წარმოუდგენელი რამ შეძლო და მხატვრული და ანიმაციური კინო გააერთიანა.

ბოლო დროს აქტიურად მიმდინარეობს საუბარი "როჯერის" გაგრძელების გადაღებაზე. რეჟისორის სავარძელში ჩაჯდომას კვლავაც რობერტ ზემეკისი აპირებს, თუმცა ვერაფრით ხერხდება ბობ ჰოსკინსის დათანხმება, რათა მან კვლავ შეასრულოს დეტექტივ ედი ვალიანტის როლი. "თუ დახატულ პერსონაჟებთან ერთად თამაშობ, მაშინ მათსავით უნდა მოიქცე: იხტუნო, იბრინო და ზოგჯერ იფრინო კიდევ. მე კი ამისთვის უკვე ძალიან ბებერი ვარ - 66 წლის ასაკში ძნელია კურდღელთან ერთად თამაში", - განაცხადა პრესასთან ბობ ჰოსკინსმა და იქვე გადაჭრით დაამატა, რომ ზემეკისის ფილმის გადაღება ნამდვილად მის გარეშე მოუწევს.

ცხადია, ახალი მსახიობის მოძებნა პრობლემა არ იქნება, რადგან ზემეკისთან მუშაობაზე უარის თქმა არც თუ მარტივია, მთავარი უფრო ისაა, როგორი იქნება ახალი ფილმი. თუ გავითვალისწინებთ, რომ რობერტ ზემეკისი motion-capture-ს დიდ თავყანისმცემლად მიიჩნევა და ფიქრობს, რომ მასზე უკეთ ამ ტექნოლოგიას ვერავინ გამოიყენებს ("ბეოვულფამდე" ამავე მეთოდით მან ანი-



მაციური ფილმი "პოლარული ექსპრესი" გადაიღო), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მას ამჯერადაც მიმართავს. მართალია, 1988 წლის ფილმის მთელი ემსი ხელით დახატულ პერსონაჟებში იყო, ახალ დროებას თავისი ნესები მოაქვს.

როდესაც "ვინ დაასმინა კურდღელი როჯერი" პრემიერა შედგა, მაცურებელი დიდხანს ვერ ხვდებოდა, რა ხდებოდა ეკრანზე - მხატვრულისა და ანიმაციური კინოს სცენები ერთმანეთში იეროდა, კადრში ერთად ჩანდნენ "ჩვეულებრივი" და დახატული პერსონაჟები, რომლებიც საუბრობდნენ კიდევ და ერთმანეთსაც ეხე-

ბოდნენ, ხელში იყვანდნენ, კოცნიდნენ, ჩხუბობდნენ და ასე შემდეგ. ნოვატიამ საუკეთესო შედეგი მოიტანა: მსოფლიო კინოთეატრებში კი მაცურებელი არ მცირდებოდა - ფილმის გადასაღებად გაღებული 70 მილიონი დოლარის სანაცვლოდ მოგებამ 320 მილიონს გადააჭარბა. ამას მოჰყვა სამი "ოსკარი" ხმის და ვიზუალური ეფექტებისა და მონტაჟისთვის და სხვა უამრავი ჯილდო.

თუმცა იყო კრიტიკაც. ზოგმა კრიტიკოსმა რეჟისორს ვერ აპატიეს, რომ მან ბავშვების საყვარელი ანიმაციური პერსონაჟები იმ დეტექტიური ფილმის გმირებად აქცია, სადაც

მკვლელობის გამოძიება მიმდინარეობს. შეგახსენებთ, რომ სპეციალურად ფილმისთვის შექმნილი მულტპერსონაჟების გარდა, ფილმში "დისნეის", Warner Bros-ის, MGM-ისა და სხვა სტუდიების ცნობილი მულტფილმების გმირებიც ჩანან. ასევე ზემეკისმა სექსუალური გარეგნობა აქვს კურდღელ როჯერის მეუღლე ჯესიკასაც. სწორედ ამიტომ იყო, რომ დიდ ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა მსჯელობა, ფილმი საბავშვო იყო თუ გაცილებით უფროსი ასაკობრივი კატეგორიისთვის.

საინტერესოა, რომ ფილმის რამდენიმე სცენა რომან პოლანსკის "ჩი-

ნური კვარტალის" სიუჟეტს კვთის. გარდა ამისა, თავდაპირველად ედი ვალიანტის როლი ჯეკ ნიკოლსონს უნდა ეთამაშა, რომელიც ზემოთ აღნიშნულ ფილმში მთავარ როლს ასრულებს. სხვა უნდა ყოფილიყო "ვინ დაასმინა კურდღელი როჯერი" რეჟისორიც - ტერი გილიამი, რომელმაც მასზე მუშაობაზე უარი ტექნიკური სირთულეების გამო თქვა, ხოლო როდესაც დასრულებული ფილმი ეკრანზე იხილა, ძალიან იხანა. "ეს იყო საოცარი სანახაობა, რომლის ავტორიც შეიძლება მე ვყოფილიყავი", - განაცხადა მან მაშინ პრესასთან საუბრისას. ფილმის საოცრებაში უფრო უკეთესად ბობ ჰოსკინსი დარწმუნდა, როდესაც პრემიერიდან შინ მობრუნებულს შეიღებმა დახატული პერსონაჟების მოყვანა მოსთხოვეს, ხოლო თავად მსახიობს დიდი ხნის განმავლობაში ანიმაციური ჰალუცინაციები სტანჯავდა. თავისი წილი პოპულარობა მიიღო ჯესიკა რებიტამაც - იგი 2009 წელს ყველაზე სექსუალურ მულტპიკაციურ პერსონაჟად დაასახელეს.

1993 წელს კალიფორნიის "დისნეილენდში" ახალი ატრაქციონი მულტთაუნი გაიხსნა, რომელიც ზუსტად იმეორებს იმ მულტიპიკაციურ ქალაქს, სადაც ედი ვალიანტი და ჯესიკა რებიტი როჯერის კვალდაკვალ აღმოჩნდებიან. ამავე ტიპის ატრაქციონი მოგვიანებით ტოკიოს "დისნეილენდშიც" გაიხსნა. და ბოლოს ყველაზე საინტერესო ფაქტი: მიუხედავად იმისა, რომ ფილმის სახელწოდება კითხვითი ფორმის წინადადებაა, მის ბოლოს კითხვის ნიშანს არ წერენ, რადგან ჰოლივუდში არსებული ცრურწმენის თანახმად, კითხვის ნიშანი სახელწოდება ფილმისთვის უიღბლობის მომტანი...

3D ყვითელი წყალქვეშა ნავი

რამდენიმე ახალი რიმეიკის შესახებ

თუ მოზარდობის პერიოდმა 80-იანი წლების ბოლოს მოგინათ და შინ ან საახლობლოში ვიდეო მაგნიტოფონიც მოგეძებებოდათ, უთუოდ გახსოვთ საკმაოდ დამინტრიგებელ სათაურიანი ფილმი "ბინძური ცეკვები" რომელმაც თქვენი გული ალბათ არაერთგზის ააფრთხილა და ააჩუყა. უახლოეს მომავალში კი ამ ფილმის ახალი ვარიანტის ხილვის საშუალება მოგეცემა. მასთან ერთად კი კიდევ რამდენიმე რიმეიკის შესახებაც მოგიტობთ.

ემილი არდოლინოს რომანტიკული ხასიათის ფილმი ეკრანებზე 1987 წელს გამოვიდა და მალე ბესტსელერად იქცა (გადაღებები 6 მილიონი დოლარი დაჯდა, შემოსავალმა კი 213 მილიონი შეადგინა). მასში აულერებული სიმღერა (I've Had the Time of My Life, რომელსაც იმ პერიოდის ცნობილი შემსრულებლები ასრულებდნენ, "ოსკარის" მფლობელი გახდა. ვარსკვლავებად იქცნენ ფილმში მთავარი როლების შემსრულებელი პატრიკ სუეიზი და ჯენიფერ გრეი. მართალია, ამ უკანასკნელის სამსახიობო კარიერა პრაქტიკულად ვეღარ განვითარდა, ის დღემდე სწორედ ამ როლითაა ცნობილი. მასთან შედარებით უფრო გუმართლა პატრიკ სუეიზს, რომელსაც "ბინძურ ცეკვებში" თავისი ცეკვის ხელოვნების დემონსტრირების საშუალება მიეცა. აქვე აღვნიშნავთ, რომ სუეიზი ამჟამად მძიმედაა ავად, მას ონკოლოგიური დაავადება აქვს. ყვითელ



პრესაში არა ერთხელ გამოჩნდა ინფორმაცია მისი გარდაცვალების შესახებ, თუმცა ის ნამდვილად ცოცხალია და მკურნალობის კურსს იტარებს.

"ბინძური ცეკვების" ახალი ვერსიის სცენარს ჯულია დალი წერს, რომელიც მსგავსი რომანტიკული

შინაარსის ფილმებზე დახელოვნებული. როგორც მისი პრესაგენტი იუწყება, თუ ორიგინალ ფილმში მოქმედება 60-იან წლებში ხდებოდა, ამჯერად თანამედროვე დროში გადმოინაცვლებთ და არაა გამოირიცხული ცეკვებიც თანამედროვე იყოს, მაგალითად ჰიპ-ჰოპი. უახ-

ლოეს პერიოდში რეჟისორისა და მსახიობების ვინაობაც გაირკვევა.

მზადდება პიტერ ჰაიამსის 1981 წლის "უცხო მიწების" რიმეიკიც. ფანტასტიკურ ტრილერში მთავარ როლს შონ კონერი ასრულებდა. მისი გმირი იუპიტერის თანამგზავრზე მომხდარ მკვლელობას იძიებს, გზადაგზა კი კოლონისტების წინააღმდეგ მიმართული შეთქმულების მონაწილე ხდება.

ახალი ფილმის რეჟისორი მაიკლ დევისი იქნება, რომელმაც ორი წლის წინ ბრწყინვალე კომედიური ექშენი "შიაზვრიტე" (Shoot 'Em Up) გადაიღო კლაივ ოუენითა და მონიკა ბელუჩით მთავარ როლებში. ამჯერად "უცხო მიწების" მთავარი გმირი სატურნიდან მთავარის გარშემო მოძრავ ორბიტალურ ქალაქში გაემგზავრება, სადაც მოუწევს არჩევანის გაკეთება - მასზე დაკისრებული საქმე გააკეთოს და შინ დაბრუნდეს თუ კოლონისტების კეთილდღეობისთვის იბრძოდოს ყველაზე საინტერესო რიმეიკს კი რობერტ ზემეკისი და სტუდია "დისნეი"

გვიმზადებენ - "ბიტლზის" 1968 წლის "ყვითელი წყალქვეშა ნავის" ახალ ვერსიას. ცნობილია, რომ "დისნეიმ" უკვე შეიძინა "ბიტლზის" 16 სიმღერის გამოყენების უფლება, რომლებიც ანიმაციური ფილმის ერთგვარ საუნდტრეკს წარმოადგენენ. მათ შორისაა ჯგუფის ბრწყინვალე კომპოზიციები: Yellow submarine, All Together Now, All

You Need Is Love, When I'm 64, Lucy in the Sky with Diamonds, Sgt. Pepper's Lonely Hearts Club Band და სხვები.

1968 წლის ვერსიისგან განსხვავებით ახალი ფილმი არა ხელით ნახატი ანიმაციების, არამედ 3D motion capture-ს ფორმატში შესრულებული კადრების ნაკრები იქნება. როგორც ზემეკისმა აღნიშნა, სურს, რომ ფილმზე მუშაობა მომავალ 2 წელიწადში დაასრულოს და მისი პრემიერა 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადის გახსნას დაამთხვოს.

შეგახსენებთ, რომ მხატვარ-ანიმატორის, ჯორჯ დანიგის "ყვითელ წყალქვეშა ნავში" მოქმედება გამოგონილ წყლის სამყარო პეპერლენდში მიმდინარეობს, რომელსაც ერთ დრეს ლურჯი ბუები შეესევინა და ყველაფერს, მათ შორის სერჟანტ პეპერის მარტოხელა გულუბის კლუბის ბენის წევრებსაც გაეყინავენ. პეპერლენდის მოსახლეობის გადასარჩენად ჯარისკაცი ფრედი ყვითელ წყალქვეშა ნავში ჯდება და დახმარების მოსაძებნად ლივერპულში მიემგზავრება. ლივერპულში კი ცხადია "ბიტლზის" წევრებს პოულობს, რომლებიც პეპერლენდში კვლავ დააბრუნებენ მუსიკას. ცხადია მუსიკა ამარცხებს ლურჯი ბუების ბნელ ძალას, პეპერლენდი კვლავ იფურჩქნება, "ბიტლზის" წევრები კი მშვიდობიანად ბრუნდებიან შინ.

პიკასოსი თუ არა?

ერაყის ცენტრში აღმოაჩინეს ნახატი, რომელზეც შიშველი ქალია გამოსახული. მას პაბლო პიკასოს ხელმოწერა ამჟღავნებს. თუმცა, ამ ნამუშევრის ორიგინალობაში ეჭვის იმ ექსპერტებმა შეიტანეს, რომლებმაც მონაპოვარი დეტალურად შეისწავლეს. მათი სკეპტიკური განცხადებების შესახებ გაზეთი The Guardian-ი იწყება.

ოთხად დაკეცილი ტილო პოლიციის თანამშრომლებმა ვინმე მიტხამ ალ-ისავის, წარსულში ჯარისკაცის, ქალაქ ჰილის მაცხოვრებლის სახლში აღმოაჩინეს. მან ამ ნამუშევარში 450 ათასი დოლარი მოითხოვა. აღსანიშნავია, რომ ტილოს უკანა მხარეს მიკრული ქონდა იარაღი, რომელზეც წერია, რომ ეს ტილო ლუერის მუზეუმმა კუვეითის მუზეუმს მიჰყიდა. ეს უკანასკნელი 1990 წელს ერაყის ოკუპაციის დროს ძლიერ დაზარალდა და პოლიციელები ფიქრობენ, რომ სურათი სწორედ ამ მუზეუმიდან მოიპარეს. ალ-ისავმა დაადასტურა, რომ მამამისი იყო საოკუპაციო ჯარების ჯარისკაცი, რომელმაც ეს ნახატი კუვეითიდან გამოიტანა. აღნიშნული ნამუშევარი ერაყულმა პრესამ უმალ ათ მილიონ დოლარად შეაფასა.

თუმცა, სპეციალისტების ყურადღება მაშინვე მიიპყრო იარაღი, რომელზეც სიტყვები "ლუერი" და "კუვეითი" პატარა ასოებით იყო დანერვილი, ხოლო ინგლისური სიტყვა "შიშველი" (naked) შეცდომით, როგორც nakede. ამის გარდა, ლუერი, პირველ რიგში, არ ფლობს პიკასოს ფერწერას, და მეორეც, ის არ ყიდის ნამუშევრებს საკუთარი კოლექციიდან, რადგანაც სახელმწიფო მუზეუმი. ეს ორივე არგუმენტი პარიზის მუზეუმის ექსპერტებმაც დაადასტურეს. ლონდონში განთავსებულმა ბიურომ, სახელწოდებით Art Loss Register, რომელიც ხელოვნების დაკარგულ ნიმუშებს აფიქსირებს, განაცხადა, რომ მასთან პიკასოს ეს ნამუშევარი აღნუსხული არ არის.

იტალიური კურორტი - მუზეუმი

გუშინ ტოსკანაში განთავსებული საკურორტო ქალაქი კიანჩიანო ტერმე (Chianciano Terme) დიდი მხატვრული მუზეუმის მფლობელი გახდა. მასში ექსპონირებული იქნება ევროპული და აზიური ხელოვნება. აღსანიშნავია, რომ ახალი კოლექცია გალერისტმა და არტ-დელერმა რობერტო გალიარდომ (Roberto Gagliardi) შექმნა. ამის შესახებ ინფორმაციას ANSA it-ი ავრცელებს.

რისი ნახვა შეგიძლიათ კიანჩიანოს მუზეუმში? დიურერის, რემბრანდტისა და გიოის გრაფიკის, ჯამბატისტა ტიეპოლოს, რენე მაგრიტის, ედვარდ მუნკისა და რენატო გატუზოს ფერწერის, ასევე, აზიური ხელოვნების კოლექციის და თანამედროვე მხატვრების, მათ შორის, ტომ ნეშისა და ფრენსის ტერნერის, ნამუშევრების. სულ აქ ხელოვნების, დაახლოებით, ათასი ნიმუშია წარმოდგენილი.

ამ მუზეუმის ინაუგურაცია კიანჩიანო ტერმეში თანამედროვე ხელოვნების ბიენალეს გახსნამდე ერთი დღით ადრე გაიმართება.

სამეფო სასახლის მონაპოვარი

XVI საუკუნის ხის მედალიონი, რომელიც შოტლანდიის სტერლინგის სამეფო სასახლის ერთ-ერთი დარბაზის ჭერს ამშვენებდა, უძველესი შოტლანდიური ინსტრუმენტალურ სანოტო ჩანანერს ინახავს. ის აღმოაჩინა და ნაიკითხა ხეზე კვეთაში დაოსტატებულმა ჯონ დონალდსონმა, რომელიც ამ სასახლის ჭერის ყველა მედალიონის ასლის შექმნაზე მუშაობს. დონალდსონის მოსაზრება შოტლანდიის მუსიკის სამეფო აკადემიის შუასაუკუნეების სპეციალისტებმაც დაადასტურეს. ამის შესახებ ინფორმაციას The Times-ი ავრცელებს.

სტერლინგის სასახლის ჭერს ათეულობით ხის მედალიონი ამშვენებს. მათ შორის, უმრავლესობა ადამიანთა გამოსახულებებითა და ანტიკური მითოლოგიის პერსონაჟებით არის მორთული. მედალიონთა ორნამენტები ხეზე კვეთის სპეციალისტების მიერ არის შესრულებული. ჯონ დონალდსონმა "პარტიტურა" მაშინ აღმოაჩინა, როდესაც რიგით მეოცე მედალიონს სწავლობდა. მან დაინახა, რომ შიდა ნაწილებზე მოცემული იყო რომაული ციფრები I და II, ასევე, წრეები, ან ნულიანები. ციფრები სიმეტრიულად კი არ არის განლაგებული, არამედ გარკვეული თანმიმდევრობით. მუსიკის ისტორიკოსებისთვის ცნობილია XVI საუკუნის ორიგინალური ვალიური სანოტო ჩანანერები, რომლებშიც ნულიანები და რომაული ერთეულები იყო გამოყენებული. აი, სწორედ ამ ტიპის ჩანანერის ამსგავსებენ ექსპერტები სტერლინგის სასახლის ციფრების ნაკრებს.

შოტლანდიის მუსიკის სამეფო აკადემიის სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ჩანანერი მედალიონზე ამ სასახლიდან არ არის პირდაპირი გაგებით პარტიტურა: მუსიკოსები მას იყენებდნენ, როგორც გარკვეული სახის იმპროვიზაციის მინიშნებას.

აღსანიშნავია, რომ ახლად გამოფრული მელოდია 26 აგვისტოს სასახლის სამლოცველოში შესრულდა. ამ დროისათვის სტერლინგის სასახლეს რესტავრაციას უკეთებენ. ამ პროექტის ღირებულებაა 12 მილიონი ფუნტი სტერლინგი. ტურისტებისთვის მისი გახსნა 2011 წლისთვის იგეგმება.

დაისვენეთ ნეტში

შეხსენება, რომ პარიზი ყოველთვის არ არის კეთილი

სოფო კილასონია

ერთი კვირის წინ პრალაში ნამდვილად არ ვყოფილვარ, თუმცა facebook-ზე მეგობრები ისე განიცდიდნენ იქ ყოფნას ანდა არყოფნას, მეგონა მეც ვისმენდი Radiohead-ის კონცერტს. ილუზიები ამის შესახებ youtube-ის ვიდეორჩანწერებმა გამომიკვებეს. სხვა მოვლენაც მომაგონდა, ისევე ონლაინ ურთიერთობების წყალობით - ბაიროთის ფესტივალი, სადაც რამდენიმე მეგობარი გახლდათ და მათ მიერ ჩემთვის skype-ში დატოვებული შეტყობინებებით მივხვდი, რომ იმდენად აღფრთოვანებული ვიყავი, მზად არიან ათენისკენ დაძრულ გიზგინა ხანძარს შიშველი ხელებით შეებრძოლონ... როგორც ხვდებით, მე არც გერმანიაში ვყოფილვარ, გერმანიას რას ვჩივი, ვაგენერის სახელობის სრულიად უნიკალურ ფესტივალზე მოხვედრაზე არც არასდროს მოცინებია, მაგრამ ლიანა ისაკაძის აღდგენილ ფესტივალს თუ გამოვაკლდებოდი - ამას ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი, მაგრამ როგორც უკვე მიმიხვდით, გონიოში ყოფნის ნაცვლად, სამსახურის ძლივს მომუშავე კომპიუტერთან ვიჯექი და ვზივარ და ძლივს და უხარისხოდ ვავსებ ამ საგაზეთო გვერდის სვეტს და როცა სამსახური დამთავრდება, ჩემს გარეშე ჩავლილსა და მიმდინარე ფესტივალს უკვე სხვა მონიტორზე ვადევნებ თვალს. თავს ვერაფრით დავიმიხვდებ, მაგრამ ჩემს მკითხველს დაგვირდები, რომ ყველა ზემოქანოთვლილი მოვლენის შესახებ დაგვიანებით, მაგრამ უკვე მალე რეპორტაჟები დაიბეჭდება. დაიბეჭდება იმიტომ, რომ ყოველ მათგანს ჩვენი ავტორები ესწრებოდნენ, დაგვიანებით კი იმიტომ რომ ჩვენი ავტორები ქართველები არიან.

და რადგანაც პირადად მე მოსაყალი აღაფერი მქონდა, მეც იმ უთვალავ საიტს გადავხედე, რომლებიც ქართველ ჟურნალისტებს იმედებს არადროს უტრუებენ. ინფორმაცია ცოტაა, მაგრამ მოგონებათა ინსტირატორი მაინც ვიპოვე. პარიზი - პიკასოს მუზეუმი, რომელიც თურმე ორი წლით რემონტით-თვის დაიხურება. ეს ის ერთადერთი სტატიაა, რომელმაც გამაღიზიანა, დაიხ, შემთხვევითი არაფერია, სწორედ "გალიზიანების" დაწერა მსურდა. და თუ რატომ, მოგახსენებთ. როცა ვცდილობ ერთი წლის წინანდელი პარიზი მოვიგონო თითქოს გონების დაძაბვა მიხვდა. რა ძალიან საოცარიც არ უნდა იყოს ეს. ამას ვაკეთებ იმიტომ, რომ ყველაფერი მოვიგონო ერთი რამის გარდა. მინდა როგორმე ამოვავდო ის ერთი რამ მესხიერებიდან. დიდი არც არაფერი, უბრალოდ ერთ პარიზელ ქალს თვალში ჩახედე და სიძულვილის არსი და ამ ცნების საშინელი ფერთა გამა ერთბაშად შევიცანი. ეს ამბავი სწორედ პიკასოს მუზეუმის წინ მოხდა და სწორედ რომ პიკასოს უკავშირდება.

მეტროს პირველი ხაზი, გაჩერება "სან პოლ", მერე რამდენიმე პატარა და მოზრდილი ქუჩა უნდა გადაკვეთო. ეს პარიზის ერთ-ერთი უძველესი უბანია. პარიზელებს რომ უგდოთ ყური, უკვე მეთორმეტე საუკუნეში დაწყებულია მისი განაშენიანება,



პიკასოს მუზეუმის შესასვლელთან



თუმცა ძირითადი ხიბლი, რომელსაც ეს უბანი ფლობს, მაინც მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეებისაა. პენრი IV-მ ამ უბანში სამეფო სასახლის აგების გარდა, სხვა რამ ბევრი გააკეთა ქალაქისთვის და რადგანაც სამეფო სასახლე, - ამჟამინდელი Place des Vosges ამ უბანშია, მის გარშემო უკვე მეჩვიდმეტე საუკუნე ბევრზე ბევრი თვალსაჩინო რამ შეიქმნა. მათ შორის სასახლე, რომელშიც მოგვიანებით პაბლო პიკასოს ეროვნული მუზეუმი გახსნეს, თუმცა მანამდე მას Hotel de Sale ერქვა და ამ დიდებულმა კარმიდამომ სულ ცოტა 50-ჯერ შეიცვალა ფუნქცია, სანამ ვენეციის რესპუბლიკის ფლობელობაში გადავიდოდა და წლების შემდეგ ვენეციისგან მას პარიზის ხელმძღვანელობა გამოისყიდია. არც მერე დაჰკლდება ამ სასახლეს მეპატრონეთა და ფუნქციათა ცვლა. მეფეთა და დიდებულთა სასახლე 1985 წლიდან იქცა პაბლო პიკასოს სამფლობელოდ იქცა, ანუ მისი გარდაცვალებიდან 12 წლის შემდეგ.

თუ უცხო ქალაქში გაშლილი რუკით სიარული გიჭირთ და უაზრო ხეტიალს პარიზშიც კი არ აპირებთ, არადა სულ ტყუილად... გამვლელბთან ჩემსავით რამდენჯერმე უნდა გადაამოწმოთ, ნამდვილად მისკენ მიმავალ გზას ადგახართ თუ არა. ერთ პატარა შესახვევში ზეგცხვირწინ აიზიდება უხეში გალავანი და დიდი კარიბჭე, ისეთ პატარა სივცეში აღმოჩნდებით, წარმოდგენაც კი გაგიჭირდებ-

ათ, რომ ამ კედლების მიღმა ვრცელი წალკოტია და ჩინებული სასახლე. მე ამ ყველაფერის წარმოდგენა მიხვეს, იმ უბრალოდ მიზეზის გამო რომ არ მიინახავს. მიუხედავად იმისა, რომ საიტზე ათსჯის გადავამოწმე ყველაფერი, პიკასოს მუზეუმი დახურული დამიხვდა. მხოლოდ ერთი "პარდონე" ეწერა და მეტი არაფერი. როცა გოცნებული და დაღლილი კარებთან ჩამოვჯექი და ჩემსავით რუგზაკაკიდებულ იაპონელებს მივუჯექი, ფეხის ხმა გავიგონე. სულ მალე თავზე დაგვადგა ერთი თმაგაბუნძელული პატარა შუახნის ქალი და სასწაულად ზიზღიანი თვალეებით შემომხედა, ბოდიშის მოხდით მუზეუმის დახურვის მიზეზი ვკითხე, მან კი ერთი გემრიელად მომალანდა და აქედან დაიკარგეთო დამიყვირა. ასეთი ხმაშალალი და უმწაფური ტექტები იმ დღემდე პარიზში, თვით ყველაზე არაორდინალურ უბანშიც არ გამეგონა, იქ სადაც აზიელების, ებრაელების და ჰომოსექსუალების ქუჩები კვეთს ერთმანეთს და იქ სადაც, ფრანგული კერძებით ჩემსავით იმედგაცრულებული და პარიზული კლასიციტური არქიტექტურით შემინებული ადამიანები იკრიბებიან ხოლმე.

მაშინ რატომღაც ამ გაავებულ ქალს ორი ნაბიჯით თითქოს ავედევნე, დღესაც არ ვიცი რატომ. მივიღე კიდევ. შემობრუნდა და ისეთები თქვა ჯერ ჩემზე და შემდეგ ჩემს პიკასოზე ფრანგულს მინას გადავეყლაპე მერჩინა. კიდევ კარგად დიდ-

ხანს ილანძლებოდა თმაგაჩჩილი პატარა პარიზელი დედაკაცი, მაგრამ რაც უფრო მშორდებოდა, მით უფრო ცუდად მესმოდა სიტყვები, მით უფრო ნაკლებად ვნერვიულობდი მომხდარზე, მაგრამ მაინც საშინლად კარგად მახსოვდა მისი სიძულვილით სავსე თვალეები.

ცხადია, მუზეუმთან დიდხანს აღარ დავრჩენილვართ და სხვადასხვა ეროვნების ტურისტები, მაგრამ ერთნაირი ჩინური წარმოშობის რუგზაკები იქითაქით დავიშალეთ. ვინ იყო ის ქალი და რატომ სძულდა პაბლო ასე, - ნამდვილად არ ვიცი. იქნებ მართალია არის ყველა ამბავი მისი სასტილი მექალთანეობის შესახებ, იქნებ ჩვენ თავად პიკასოს ბნელი წარსულის ნაყოფი გვლანძრავდა... ეს ალბათ საუკეთესო შემთხვევაა. არსებობს ცუდი ვერსიებიც, ვერსიები, რომლებიც მიმანხნა დაუუკავშირე, იმ ფრანგულ რასიზმს იტალიელების საქილიკო თემა რომ ხდება ხშირად.

მოკლედ ასე, დიდი არც არაფერი მომიყოლია, თუმცა ერთი კარგად ვიცი, თუ იმ დღემდე დასამებდად მიმანხნა სიციხლე სინახევროდ პარიზში გამეტარებინა, პიკასოს, ამ ქუჩების, პარიზული უცნაური განცდების გამომწვევი სივრცეების, კაფეების, წიგნის ლამაზი მალაზიების, პარიზული არტისტებისა და კრიტიკოსების საზოგადოების გამო, იმ დღეს გამომძაფრთა განცდა იმისა, რომ სრულიად უცხო ვიყავი ამ ქალაქში და სრულიად უცხო იყო ჩემთვის ჩემი პაბლოც და მთელი მისი ნაშეივრც... სხვა ქვეყანაში გაუცხოებას კი მხოლოდ ერთი ხიბლი აქვს, საკუთარი ქვეყნის - სახლის მონატრება.

მას, ვინც პარიზშია, ანდა წასვლას აპირებს, მას ვეტყვი რომ პიკასოს ეროვნული მუზეუმი პარიზში დახურულია. ამას გეტყვით და იმ ქუჩის ავი ძალელებისგან გადავარჩინო. მაგრამ თუ ჩემსავით თბილისში ხართ და ამ სეზონში ტრადიციულად უაზრობად ქცულ სამუშაოს ემსახურებით, გირჩევთ, რომ თუ სხვაგან ვერა, დაისვენე ნეტში - იქნები მარტოც და თან ყველასთან; სახლის ერთ კუთხეში და თან ნახევარ მოსოფლისთან ერთად; გაიგებთ ყველაფერს და რაც არ მოგეწონებათ, მხოლოდ ერთი "დაკლიკით" - Close ! და თავისუფალი ხარ.

"ლია კარის დღე" ზესტაფონში

ოლიმპს ვერავინ აჩერებს



ანდერსონ აკინო (მარჯვნივ) ზომბარდირებში გალიდერდა

მიხეილ აბაიშვილი

გუნდი, რომელსაც საქართველოს ჩემპიონობაზე აქვს პრეტენზია, ასე სასტიკად არ უნდა მარცხდებოდეს. თუნდაც ჩემპიონობის ერთ-ერთ თანამაძიებელთან და ადგილობრივი საზომებით საკმაოდ მაღალი კლასის გუნდთან. ოთხი გოლის გაშვებას, თანაც ერთ ტაიმში, არანაირი გამართლება არ აქვს. მგონი, დროა, რომ "დინამოს" ამ მუდმივ წარუმატებლობებზე, რასაც ქართული სპორტული მედია საკმაოდ თავშეკავებით ადევნებდა თვალყურს, ვილაყვამ პასუხი აგოს. სეზონიდან სეზონამდე გამოკვეთილი რეგრესის გზაზე დამდგარი "დინამოს" მკვეთრად უარყოფითი შედეგები ძალიან ბევრ კითხვის ნიშანს ბადებს. ფაქტი ერთია: "დინამო", რომელსაც ამ ოთხი - ხუთი წლის წინათ დაბრუნებული ჰქონდა ქართული საკლუბო ფეხბურთის ლიდერის სტატუსი, თანდათან ჰკარგავს კონკურენტუნარიანობას ეროვნული მნიშვნელობის ტურნირებშიც კი. თუმცა, ეს ცალკე და დიდი საუბრის თემაა, რაც ტურის მიმოხილვის ფორმატში არ ჯდება.

ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მე-5 ტურმა, "ამერ-იმერული სუპერკლასიკოს" ნიშნით ჩაიარა. "ზესტაფონის" და თბილისის "დინამოს" დაპირისპირება, რომელ მოედანზეც არ უნდა იმართებოდეს ეს მატჩი, განსაკუთრებული პრინციპულობით გამოირჩევა და წინააღმდეგობრივი ისტორიაც აქვს. გასულ სეზონში ეს გუნდები სხვადასხვა ტურნირებში (ჩემპიონატი, თასი, სუპერთასი) ექვსჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და აქვენი დაპირისპირების სტატისტიკური მონაცემების დაჯამების შედეგად დედაქალაქელთა სრული უპირატესო-

ბა გამოიკვეთა. "ზესტაფონმა" მხოლოდ ამ "სიქსტეტის" პირველი რაუნდი მოიგო: რომელიც ზესტაფონში გაიმართა და მასპინძელთა მინიმალური უპირატესობით დასრულდა. აქედან მოყოლებული, დარჩენილი ხუთი შეხვედრა "დინამოს" დომინირებით წარიმართა: თბილისელებმა ჯერ სუპერთასი აართვეს იმერლებს, შემდეგ საქართველოს თასის გათამაშებიდან გამოთიშეს მეოთხედფინალურ სტადიაზე, ხოლო ყველაზე მტკივნეული მარცხი გასული სეზონის ფინალში, ზესტაფონში აგემეს. მაშინ კახი კაჭარავას შეგირდებმა გაიგეგუჩაძის გუნდი მისსავე მოედანზე "ბეჭებზე გააკრეს": ოთხი უპასუხო გოლით "ამოუფსეს" კარი.

უნდა ითქვას, რომ იმ მომენტისთვის გეგუჩაძე არასრულ პირველ სეზონს ატარებდა "ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე. ამ მეტად თავმოყვარე და ამბიციურ მწვრთნელს დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის არსებობის ისტორიაში ყველაზე კარგი შედეგი აქვს, თან, მის ამჟამინდელ მეტოქე "დინამოსთან" ერთად. სწორედ გეგუჩაძის ხელქვეით შექლო "დინამომ" უეფას თასის სამი ეტაპის გადალახვა და ამ ტურნირის ჯგუფურ ეტაპზე გასვლა. შესაბამისად, "დინამოსთან" საკუთარ მოედანზე გამანადგურებელი მარცხი რომ გეგუჩაძეს გველის ნაკუნებით დაამახსოვრებოდა, ყველას კარგად ესმოდა. და აი, რევანშის დროც დადგა.

თამაში, რომლის პირველმა ტაიმმაც მეტ-ნაკლებად თანაბარ ორთაბრძოლაში ჩაიარა, ყველასათვის მოულოდნელად, ძალზე უხვგოლიანი აღმოჩნდა. შეხვედრის მეორე ნახევარში ლორიას კარში გოლების წვიმა წამოვიდა. "დინამოს" დაცვის ხაზი, საიდანაც ეროვნულ ნაკრებში წინასაიტალიოდ ფეხ-

ბურთელიც კია გამოძახებული, სრულად "ჩავარდა" და მოიშალა. ზაალ ელივაძემ, ორჯერ - ჯაბა დვალამ და ნიკოლოზ გელაშვილმა ოთხი გოლი გაუტანეს ლორიას. თუ რამდენად პრესტიჟული გამოდგა აკირემის კინკლა შედეგიან დარტყმას მოყოლილი გოლი, თავად განსაჯეთ: "დინამო" დამარცხდა ანგარიშით 1:4 და ხუთი ტურის შემდეგ მთელი რვა ქულით ჩამორჩება ლიდერს. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მისი მეტოქისგან განსახვავებით, "დინამოს" ბოლო ერთ კვირაში ზედიზედ მესამე თამაშის ჩატარება მოუწია (შუა კვირაში დედაქალაქელებმა ვეროპის ლიგაში მონაწილეობის გამო პირველი ტურის გადადებული შეხვედრა ითამაშეს "გაგრასთან") და ერთი შეხვედრით ნაკლებიც აქვს ჩატარებული.

ერთპიროვნული ლიდერი კი არა თუ ქულების, ქულის დაკარგვასაც კი არ აპირებს და ბრაზილიურად მომართული, ბრაზილიური გოლების წყალობით სულ უფრო დამაჯერებელ გამარჯვებებს აღწევს. დღეს რომ "ბოლნისის" "სიონი" "ოლიმპის" ტოლსწორი მეტოქე ვერ არის, მით უმეტეს, გასულით შეხვედრაში, ყველაზე უკეთ, ალბათ, ბოლნისელთა თავკაცმა, თემურ მახარაძემ იცის. ეს სპეციალისტი ზედ ჩემპიონატის სტარტზე მიიწვიეს გუნდში და უამრავი პრობლემა დახვდა, პირველ რიგში კი - შეკრებაგაუფლელი "სიონი" და გუნდის სასეზონოდ მომზადების საკითხების გადაწყვეტაც ჩემპიონატის მიმდინარეობის პარალელურად უწევს. თუმცა, ასეთი რეჟიმის პირობებშიც კი, მახარაძის გუნდმა ერთი მინისენსაცია უკვე მოახდინა: წინა ტურში თვით "ზესტაფონს" დააკარგვინა ორი ქულა. გუშინ "სიონი" დამარცხდა, თან დიდი ანგარიშით, მაგრამ პირადად მე, ქარ-

თული საფეხბურთო სივრცის ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელის, თემურ მახარაძის პოტენციალიდან გამომდინარე დარწმუნებული ვარ, რომ "სიონი" მეორე წრიდან გაცილებით სერიოზული გუნდი იქნება და აუცილებლად იბრძოლებს საპრიზო ადგილებისთვის. ამჯერად კი ბოლნისელებმა სამი უპასუხო "ბრაზილიური" გოლი გაუშვეს. ანგარიში ანდერსონ აკინომ 25-ე წუთზე გახსნა და ეროვნულ ჩემპიონატში გატანილი გოლების რიცხვიც ხუთამდე გაზარდა, რისი წყალობითაც ეს შემტევი ნახევარმცველი ზომბარდირთა დავაში ხუთი გატანილი გოლით გალიდერდა. მხარის ტრავმის გამო ამ ფეხბურთელმა "გაგრასთან" წინა ტურის მატჩი გამოტოვა, თორემ საკუთარი გოლების მარაგს ალბათ აქაც გაამდიდრებდა. საბოლოოდ, "ოლიმპა" 3:0 დამარცხა "სიონი" და დაუკარგავი ქულების მარაგი თხუთმეტამდე აიყვანა.

მოქმედ ჩემპიონს, "ვიტჯორჯიას" დიდად არ გასჭირვებია ამბიციუბმოძალეული ცხინვალის "სპარტაკის" დამარცხება ანგარიშით 2:0. ორივე გოლი შეხვედრის პირველ ნახევარში კავარაცხელიამ გაიტანა.

მე-5 ტური	
ზესტაფონი - დინამო	4:1
ვიტჯორჯია - სპარტაკი	2:0
ოლიმპი - სიონი	3:0
ბაია - გაგრა	2:2
ლოკომოტივი - სამტრედია	0:3
1 ოლიმპი	5 5 0 0 13 2 15
2 ზესტაფონი	5 3 2 0 7 1 11
3 ვიტჯორჯია	5 3 1 1 6 6 10
4 სპარტაკი	5 3 0 2 7 8 9
5 დინამო	4 2 1 1 8 4 7
6 სამტრედია	5 2 0 3 5 9 6
7 გაგრა	5 1 1 3 6 6 4
8 ბაია	5 1 1 3 5 7 4
9 სიონი	4 0 1 3 2 9 1
10 ლოკომოტივი	5 0 1 4 2 9 1

ტატიშვილი აშშ-ს დაემშვიდობა

აშშ-ის ლია პირველობის ძირითად ბადემდე ჩოგბურთის მოყვარულთ საკვალიფიკაციო წრის თამაშებით უწევთ თავის შექცევა. მათ შორის ჩვენც, მაგრამ, ჩვენი სურვლის მიუხედავად, სეზონის ბოლო დიდი სლემის კორტებზე ძირითადი ასპარეზობები ისევ ქართველების გარეშე ჩაივლის. მასში თამაშის უფლების მოპოვებამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა ანა ტატიშვილს - ის მესამე საკვალიფიკაციო წრეში იაპონელ იურიკა სემასთან დამარცხდა.

19 წლის ქართველი, რომელსაც მსოფლიო რეიტინგში 168-ე ადგილი უკავია, ოთხი წლით უფროსა და რეიტინგში ორი ადგილით ქვემდგომ მეტოქესთან სამ სეტში - 6:4 4:6 2:6 დამარცხდა. გამარჯვების შემთხვევაში ტატიშვილი ტურნირის ძირითად ბადეში მოხვდებოდა.

ბასილაშვილმა ტიტული დააგემოვნა

ნიკოლოზ ბასილაშვილმა პროფესიულ კარიერაში პირველ საჩოგბურთო ტიტული დააგემოვნა. სოჭში მიმდინარე 10-ათასიან ტურნირზე 17 წლის ქართველმა ჩოგბურთელმა ხუთი მეტოქე დაამარცხა და გამარჯვება იხეიმა.

ტურნირის დებიუტში მეშვიდე ნომრად განთესილმა ბასილაშვილმა სამ რუს ჩოგბურთელთან გაიმარჯვა. პირველ წრეში ანდემირ კარანაშევი 6:3, 6:0 დაამარცხა, მერვედფინალში კი არტიომ ისაევს 6:2, 6:2 სძლია.

ყველაზე რთული ბრძოლა ნიკოლოზს მეოთხედფინალში გადახდა, სადაც პირველ ნომრად განთესილი მასპინძლის ეგვენი კირილოვის (მსოფლიოს 350-ე რიგაში) დასამარცხებლად სამი სეტი დასჭირდა - 6:3, 3:6, 6:0.

ნახევარფინალში ქართველს მეექვსე ნომრად განთესილ უკრაინელ ვადიმ ალექსენკოსთან მოუხდა ურთიერთობის გარკვევა, რასაც ორი სეტი მოაწოდო - 6:3, 6:4.

ფინალში ქართველი ჩოგბურთელის კიდევ ერთ რუსს, მერვე ნომრად მიჩნეულ რუს მისაილ ფუფინს დაუპირისპირდა და, მიუხედავად იმისა, რომ პირველი სეტი წააგო, საბოლოოდ 2:6, 7:5, 7:5 კორტი გამარჯვებულმა მან დატოვა.

...ბასილაშვილმა პროფესიული კარიერა შარშან, სექტემბერში დაიწყო. საერთაშორისო ტურნირებზე კი ნახევარფინალს ვერც ერთხელ ვერ გასცდა.

ქართველი ჩოგბურთელი, რომელსაც მსოფლიოს რეიტინგში 683-ე პოზიცია უკავია, განახლებულ კლასიფიკაციაში უთუოდ დანინაურდება.

გეორ-გიამ მეცხრე-მეთორმეტე ადგილები გაინაწილა

პლაჟის ფრენბურთის ქართველმა ბრაზილიელელებმა გეორ-გიამ ჰაავაში დასრულებულ მსოფლიო ტურის ეტაპზე მეცხრე-მეთორმეტე ადგილები გაინაწილეს და, 240 სარეიტინგო ქულასთან ერთად, საპრიზო ფონდიდან 6 ათასი დოლარიც მიიღეს.

მე-11 ნომრად განთესილმა გეორ-გიამ (რენატო გომეში და ჟორჟ ტერშეირო) პირველ სათამაშოდღეს მექსიკელებს (მირამონტესი-ვირგენი) 2:1 (21:17, 16:21, 15:9) სძლია, შემდეგ კი ერთ-ერთ ფავორიტს, მეექვსე ნომრად განთესილ შვეიცარიელთა წყვილს ჰეიერი-ჰეუშერის 2:0 (23:21, 21:19) მოუგო.

ამის შემდეგ ქართველმა ბრაზილიელებმა ზედიზედ ორი მატჩი წააგეს და პირველობისთვის ბრძოლას გამოეთიშნენ. გეორ-გია მე-11 ნომრად განთესილ ესპანელებთან (ერერა-გავირა) 0:2 (21:23, 15:21) დამარცხდა, შემდეგ კი ასევე ორ სეტში - 0:2 (13:21, 14:21) წააგეს შვეიცარიელებთან (ლაჩიგა-ბელაგუარდა).

მსოფლიო ტურზე ვაჟთა დასკვნითი ტურნირი ჩინეთის ქალაქ სანაიში 26-31 ოქტომბერს გაიმართება, ქალები კი მანამდე (8-13 სექტემბერი) ბარსელონაში ითამაშებენ.

"პარმამ" "მგლებსგან" დაკარდო შეიძინა

"პარმამ" ბუნდესლიგის ჩემპიონ "ვოლფსბურგისგან" 27 წლის იტალიელი მცველი, მსოფლიო ჩემპიონი კონტრაქტი გაუფორმა. ტრანსფერის ღირებულება კი არ ხმაურდება.

დაკარდომ, რომელიც იტალიის ნაკრებთან ერთად 2006 წელს მსოფლიო ჩემპიონი გახდა, "ვოლფსბურგში" მხოლოდ ერთი სეზონი დაჰყო - "მგლებმა" ის შარშან ზაფხულში "პალერმოსგან" 7 მილიონ ევროდ იყიდეს. თანამემამულე ანდრეა ბარძალისგან განსხვავებით, ის "ვოლფსბურგის" ძირითად შემადგენლობაში ვერ დამკვიდრდა.

"პარმამ" დაკარდო თავისი ყოფილი მწვრთნელის ფრანჩესკო გუიდოლინის ხელმძღვანელობით ითამაშებს. ეს უკანასკნელი 2008 წელს "პალერმოდან" "პარმამი" გადავიდა.

გუდამაყარში გორბასალმაც გვიმასპინძლა

ამთავარი ავტორი



ჩამოვედით. ამ ჯგუფებს კი შედარებით ახალგაზრდა, მაგრამ მაინც ვეტერანი მთამსვლელები, ასევე პროფესორები ხუტა ხერგანი და მალხაზ ხუციშვილი მეთაურობდნენ. ჯგუფში კიდევ ერთი პროფესორი იყო - ეკონომისტი ჯემალ ბაშარული. ეს კაცი "შეთავსებით" პოეტია და ამიტომ ფეხქვეშ გაშლილი მთა-ბარის ხილვისას მას დროდადრო მუზა ანუხებდა. მუზები ალბათ რუსუდან ფანოზიშვილს, გიორგი ბობლიაშვილს, ბეთქელ ხერგანს, გიორგი ხუციშვილს და დამა ელისო და ბესო სარალიძეებს თუ სხვა ახალგაზრდებსაც ანუხებდათ, ყოველ

შემთხვევაში, ისინი იმ მშენებლების ხილვისას უბის წიგნაკებს ავსებდნენ და ფოტოაპარატ თუ მობილურმარჯველები სურათებსაც ბლომად იღებდნენ. რაც შეეხება "ვახტანგ გორგასალს", რომლის მისადგომთან ეულად დაბანაკებულმა ახალგაზრდა მწყემსმა ელგუჯა კუბატაძემ გვიმასპინძლა, შორიდან ერთ მწვერვალად მოჩანდა, ახლოდან კი სამ ნაწილად გაყოფილი მასივი აღმოჩნდა. მწვერვალის თხემი მთელ გაყოლებაზე საშინლად დაჩეხილიყო. მისი უმაღლესი წერტილი განაპირა, დასავლეთის პიკეზეა, რომე-

ლიც, ალბათ, დაახლოებით 3500 მეტრი სიმაღლისაა, ჩვენ კი აღმოსავლეთით ამოვყავით თავი, სადაც მეორე კატეგორიის მარშრუტი გამოვქვენეთ, თუმცა მასზე გაცილებით რთული გზებიც მოჩანდა, განსაკუთრებით საინტერესო კი მთელი მასივის ტრავერსი გვეჩვენა, რაც ბევრმა გულში ამოიჭრა და სამომავლო მიზნად დაისახა. რაკი ასეთი მიზნის მისაღწევად ბევრს ალპინისტური კვალიფიკაციის ამაღლება მოუწევს, ბურსაჭირის უღელტეხილისკენ გადავინაცვლეთ, იქ კი მწვერვალ "წმინდა ნინოს" ვენვეით. იქ დატოვებული ბარათით შე-

ვითყვეთ, რომ ამ მწვერვალზე ბოლოს ოთხი წლის წინათ, აგვისტოში ასულან მთამსვლელები. მათ მუხლებამდე თოვლი გაუკვალავთ გზა. ჩვენ კი ლაშქრობისას ერთი ფიფქიც არ გვინახავს. ცნობისთვის - ამ მწვერვალს "წმინდა ნინო" ასევე შოთა მირიანაშვილმა თავის გუნდთან ერთად რამდენიმე წლის წინათ პირველამსვლელის უფლებით დაანათლა. მერე იქ საპატრიარქოს დაკვეთით ლითონისგან დამზადებული წმინდა ნინოს ჯვარი აიტანა, გაამაგრა და ახლა ის მთელ გუდამაყარს გადააწყურებს...

ერთი რბოლის სამი ტრიუმფატორი

ნომინალურად, რბოლას ერთი გამარჯვებული უნდა ჰყავდეს. ის, ვინც ფინიშის ხაზს პირველი გადაკვეთს. რა თქმა უნდა, დღესაც ასე იყო - კიმი რაიკონენმა, როგორც იქნა, "ფერარის" გამარჯვება მოაპოვებინა. მაგრამ შეცდომმა არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ გამარჯვება მასთან ერთად, ჯანკარლო ფიზიკელამაც იხეიმა, რომლისგანაც კვალიფიკაციაზე მოპოვებული პოული ხომ სენსაცია იყო, მაგრამ გუშინ დაკავებული მთელი ადგილი მისთვისაც და მისი "ფორს ინდიასთვისაც" გამარჯვების ტოლფასია.

და ვინ არის მესამე გამარჯვებული? ვინ და რუბენს ბარიკელო, რომელმაც დაზიანებული ძრავით, რომ ბოლო ოთხი წრის განმავლობაში, მეშვიდე პოზიცია შეინარჩუნა და ორი ქულა მოიპოვა, ის ორი ქულა, რომელსაც სეზონის ბოლოს ოქროს ფასი დაედება!

- ბელგის დიდი პრიზი სპა ფრანკორშანი. 44 წრე. მანძილი: 7.004 კმ. დისტანცია: 308.052**
1. კიმი რაიკონენი (ფინეთი, ფერარი) 1:23:50.995
 2. ჯანკარლო ფიზიკელა (იტალია, ფორს ინდია-მერსედესი) +00:00.939
 3. სებასტიან ფეტელი (გერმანია, რედ ბულ-რენო) 00:03.875
 4. რობერტ კუბიცა (პოლონეთი, BMW ზაუბერი) 00:09.966

5. ნიკ ჰაიდფელდი (გერმანია, BMW ზაუბერი) 00:11.276
 6. ჰეიკი კოვალაინენი (ფინეთი, მაკლარენ-მერსედესი) 00:32.763
 7. რუბენს ბარიკელო (ბრაზილია, ბრაუნ-მერსედესი) 00:35.461
 8. ნიკო როსბერგი (გერმანია, უილიამს-ტოიოტა) 00:36.208
 9. მარკ უებერი (ავსტრალია, რედ ბულ-რენო) 00:36.959
 10. ტიმო გლოკი (გერმანია, ტოიოტა) 00:41.490
 11. ადრიან სუტილი (გერმანია, ფორს ინდია-მერსედესი) 00:42.636
 12. სებასტიან ბუემი (შვეიცარია, ტორო როსო-ფერარი) 00:46.106
 13. კაზუკი ნაკაძიმა (იაპონია, უილიამს-ტოიოტა) 00:54.241
 14. ლუკა ბადოერი (იტალია, ფერარი) 01:42.177
- გ. ფერნანდო ალონსო (ესპანეთი, რენო) 8 წრე
 გ. იარნო ტრული (იტალია, ტოიოტა) 23 წრე
 გ. ჯენსონ ბატონი (ბრიტანეთი, ბრაუნ-მერსედესი) 44 წრე
 გ. ხაიმე ალგერსუარი (ესპანეთი, ტორო როსო-ფერარი) 44 წრე
 გ. რომენ გროჟანი (საფრანგეთი, რენო) 44 წრე
 გ. ლუის ჰამილტონი (ბრიტანეთი, მაკლარენ-მერსედესი) 44 წრე
- შენიშვნა: გ. - გამოეთიშა უსწრაფესი წრე; სებასტიან ფეტელი - 1:47.263, 38 - წრე**

მრბოლთა საჩემპიონო დავა:

1. ჯენსონ ბატონი - 72 ქულა;
2. რუბენს ბარიკელო - 56;
3. სებასტიან ფეტელი - 53;
4. მარკ უებერი - 51.5;
5. კიმი რაიკონენი - 34;
6. ნიკო როსბერგი - 30.5;
7. ლუის ჰამილტონი - 27;
8. იარნო ტრული - 22.5;
9. ფელიპე მასა (ბრაზილია,ფერარი) - 22;
10. ჰეიკი კოვალაინენი - 17;
11. ტიმო გლოკი - 16;
12. ფერნანდო ალონსო - 16;
13. ნიკ ჰაიდფელდი - 10;
14. ჯანკარლო ფიზიკელა - 8;
15. რობერტ კუბიცა - 8;
16. სებასტიან ბუემი - 3;
17. სებასტიან ბურდე (საფრანგეთი, ტორო როსო-ფერარი) - 2;
18. ადრიან სუტილი - 0;
19. კაზუკი ნაკაძიმა - 0;
20. ნელსინიუ პიკე (ბრაზილია, რენო) - 0;
21. ლუკა ბადოერი - 0;
22. ხაიმე ალგერსუარი - 0;
23. რომენ გროჟანი - 0

კონსტრუქტორთა თასი:

1. ბრაუნ-მერსედესი - 128 ქულა;
2. რედ ბულ-რენო - 104.5;
3. ფერარი - 56;
4. მაკლარენ-მერსედესი - 44;
5. ტოიოტა - 38.5;
6. უილიამს-ტოიოტა - 30.5;
7. BMW ზაუბერი - 18;
8. რენო - 16;
9. ფორს ინდია-მერსედესი - 8;
10. ტორო როსო-ფერარი - 5

მერაბ ლორთქიფანიძე
<http://formula1ge.blogspot.com/>

მის საქართველო 2009 MISS GEORGIA

მიჩ-ცენტრი იხვევს 17-25 წლამდე ასაკის გოგონებს მის საქართველო 2009-ში მონაწილეობის მისაღებად.

გახლი მის საქართველო!

მოიგა მთავარი პრიზი ახალი ავტომობილი სუზუკი სელერიო და გაამაგრებთ სილამაზის საერთაშორისო კონკურსაზე.

იჩქარეთ! გაიარეთ რეგისტრაცია 9 სექტემბრამდე.

თბილისი ნიკო ნიკოლაძის №6 ტელ: 98 51 48, 20 00 20 855 95 90 25	აბთაში ბარათაშვილის 23 ტელ: 7 68 23, 899 40 62 63	რუსთავი ვახუშტის ძ. 5, 24 სპ. სკოლა ტელ: 871 99 17 74, 879 78 07 84, 899 23 69 64
--	--	---

www.missgeorgia.ge



Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Cooperation Office for the South
Caucasus
Georgia

განცხადება

შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს წარმომადგენლობა სამხრეთ კავკასიაში იწვევს ახალგაზრდა სახელმწიფო მოხელეებს სასწავლო კურსზე "ადამიანთა უფლებები და ჰუმანიტარული სამართალი".

კურსი ჩატარდება 2009 წლის 15 ოქტომბრიდან 29 ოქტომბრამდე ბაქოში ენევის "საერთაშორისო ურთიერთობებისა და განვითარების სწავლების ინსტიტუტის" მიერ. განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა 2009 წლის 1 სექტემბერი. განაცხადის ფორმები და დამატებითი ინფორმაცია განთავსებულია ვებ-საიტზე:

www.cabir.org/applications

ასევე შეგიძლიათ მიმართოთ ენევის საერთაშორისო ურთიერთობებისა და განვითარების სწავლების ინსტიტუტის, საერთაშორისო ორგანიზაციების სწავლების პროგრამის კოორდინატორს სელინ გლუცს ელექტრონული ფოსტით: applications@cabir.org.

საქმი N2-3

27 აგვისტო 2009 წელი ქ. გარდაბანი

გარდაბნის რაიონული სასამართლო

განჩინება

გარდაბნის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ქეთინო ლუაშვილმა, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სს "თბილსრესის" ქონების მიმართ წარმოებული "გადახდისუნარიობის საქმის წარმოების შესახებ" კრედიტორთა კრების მოწვევის საკითხი, რა დროსაც

დაადგინა:

1. სს "თბილსრესის" "გადახდისუნარიობის საქმის წარმოების შესახებ" კრედიტორთა კრება მოწვეულ იქნეს 2009 წლის 31 აგვისტოს 16:00 საათზე გარდაბნის რაიონულ სასამართლოში სხდომის დარბაზი №1
2. აღნიშნული განჩინების შესავალი და სარეზოლუციო ნაწილები გამოქვეყნდეს გაზეთებში "საქართველოს რესპუბლიკა" და "24 საათი" ასევე ქვემო ქართლის რეგიონალურ ტელევიზიაში;
3. გამოქვეყნების ხარჯები დაეკისროს გაკოტრების მასას;
4. განჩინების გასაჩივრება არ დაიშვება.

მოსამართლე: ხელმოწერილია ქ. ლუაშვილი
ასლი დედანთან სწორია კანც. გამგე: ნ. სვანი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 88-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2005 წლის 25 იანვრის №10 დადგენილებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ატარებს ღია პირველად აუქციონს, რომელზეც გასაყიდად გამოტანილი იქნება ს/ს "საქართველოს საფოსტო ბანკი"-ს (სნ 202904045) კუთვნილი, ქ.თბილისში, რუსთაველის გამზ. 12 განთავსებული ქონება, კერძოდ:

№	დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	მთლიანი ღირებულება (ლარი)
2	შენობა ნაგებობა (I-II-III სართულეები)	კვმ	1260	2650 (აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში)	5 600 000
	საერთო ჯამი				5 600 000

(შეფასებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დეკან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ).

აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 28 სექტემბრის დღის 14 საათზე, მისამართზე: ქ. თბილისი, ბაგრატიონის ქ. №8, თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) შენობაში.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებული არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინონ აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადებოზიტო ანგარიშზე წინასწარ შეიტანოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შექენასაც აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ნებისმიერი შეიძლება აუქციონზე შეისყიდოს ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, თუ აუქციონზე მიღებულ იქნა მის მიერ შემოთავაზებული ფასი, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე შეიძლება არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქ. თბილისის რეგიონალურ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექცია) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოსატან ქონებას.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, მსურველები 2009 წლის 28 სექტემბრამდე დაგვიკავშირდნენ ქ. თბილისის რეგიონალურ ცენტრში (საგადასახადო ინსპექცია) ტელეფონზე 26-17-62.

სსიპ ალექსანდრა ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შიდაგარე ვაკანტური სამეცნიერო თანამშრომლების დასაქმებლად:

ციტოლოგიის ლაბორატორიის
უფრ. მეცნიერ თანამშრომელი - 1
მეცნიერ თანამშრომელი - 1

მოლეკულური ბიოლოგიის და გენეტიკის ლაბორატორიის
უფროსი მეცნიერ თანამშრომელი - 1
მეცნიერ თანამშრომელი - 1

პათოლოგიური ანატომიის და სასამართლო მედიცინის ლაბორატორიის
მთავარი მეცნიერ თანამშრომელი - 1
უფროსი მეცნიერ თანამშრომელი - 1

ანდროლოგიის ლაბორატორიის
მთავარი მეცნიერ თანამშრომელი - 1
მეცნიერ თანამშრომელი - 1

გერონტოლოგიისა და პალიატიური მზრუნველობის დეპარტამენტის
მთავარი მეცნიერ თანამშრომელი - 2
უფროსი მეცნიერ თანამშრომელი - 3
მეცნიერ თანამშრომელი - 3

კლინიკური ანატომიის დეპარტამენტის
მთავარი მეცნიერ თანამშრომელი - 2
უფროსი მეცნიერ თანამშრომელი - 3
მეცნიერ თანამშრომელი - 3

კლინიკური პათოლოგიის დიაგნოსტიკის ცენტრის
მთავარი მეცნიერ თანამშრომელი - 2
უფროსი მეცნიერ თანამშრომელი - 1
მეცნიერ თანამშრომელი - 1

მთავარი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს

დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული (მეცნიერებათა დოქტორის ან კანდიდატის) ხარისხი.

უფროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ იგი არის დოქტორანტი ან აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული (მეცნიერებათა დოქტორის ან კანდიდატის) ხარისხი.

მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს მაგისტრის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

დამატებითი ინფორმაციის მიღება და საკონკურსო საბუთების ჩაბარება შეიძლება საკონკურსო კომისიის სამდივნოში, 2009 წლის 28 სექტემბრის ჩათვლით, ყოველ დღე, შაბათ-კვირის გარდა, 1100-დან - 1500 საათამდე.

მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის ქუჩა 2.

საკონკურსო საბუთების ნუსხა (ჩამონათვალი):

1. განცხადება;
2. კადრების აღრიცხვის ფურცელი;
3. შრომის წიგნაკის ასლი;
4. 2 ფოტოსურათი 3X4;
5. პირადობის დამადასტურებელი საბუთის ასლი;
6. უმაღლესი განათლების დიპლომის ასლი;
7. სამეცნიერო და/ან აკადემიური ხარისხის დიპლომის ასლი;
8. შედგენილი სტანდარტული ფორმით და დამოწმებული ნაშრომთა სია;
9. ავტობიოგრაფია (CV)

ყველა დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იქნას ასევე ციფრული ვერსიის სახით.





საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 20 აგვისტოს N653 ბრძანებით საფუძველზე, შპს "საქართველოს ტექნოლოგიების ინსტიტუტს" უარი ეთქვა უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის მიღებაზე...

სსიპ ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტი აცხადებს ღია კონკურსს სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.

კონკურსი ტარდება შემდეგ თანამდებობებზე:

- 1. სტრატეგორიული და პალეონტოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი / მთავარი მეცნიერ თანამშრომელი;
2. ტექტონიკის, რეგიონული გეოლოგიისა და სეისმოტექტონიკის განყოფილების ხელმძღვანელი / მთავარი მეცნიერ თანამშრომელი;
3. პეტროლოგიის, მინერალოგიისა და ლითოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი / მთავარი მეცნიერ თანამშრომელი;
4. სასარგებლო წიაღისეულის, გეოქიმიისა და იზოტოპური გეოქრონოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი / მთავარი მეცნიერ თანამშრომელი;
5. გარემოს ფიზიკურ-ქიმიური კვლევის განყოფილების ხელმძღვანელი / მთავარი მეცნიერ თანამშრომელი;

აღნიშნული თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, რომელსაც აქვს მეცნიერებათა დოქტორის, მეცნიერებათა კანდიდატის ან დოქტორის აკადემიური ხარისხი.

საბუთების წარდგენის ბოლო ვადაა 2009 წლის 29 სექტემბერი, 14:00 სთ.

საბუთების მიღება წარმოებს მისამართზე: თბილისი, მ. ალექსიძის ქ. 1/9, საკონკურსო სამდივნო.

კონკურსის შესახებ დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ-გვერდზე: www.mes.gov.ge ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტის ვებ-გვერდზე: www.geolinst.ge და საკონკურსო სამდივნოში e-mail: Nik.mais@yahoo.com ტელ.: 364 982, მობ. 895 377386

განცხადება

სს "ენერგო-პრო ჯორჯია"-ს ესაჭიროება ლითონ-კონსტრუქციები ძალოვანი ელ. მოწყობილობების დასადგმელად. დეტალური ინფორმაციისა და ნახაზებისათვის გთხოვთ დაგვიკავშირდეთ. ტელ.: 895 95 02 75

განცხადება

სს "ენერგო-პრო ჯორჯიას"-ს ესაჭიროება პლასტმასის ყუთები ელ. ენერჯის ინდივიდუალური მრიცხველებისათვის. დეტალური ინფორმაციისათვის გთხოვთ დაგვიკავშირდეთ. ტელ.: 895 95 02 75

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი, დავების განმხილველი ცენტრი DDRC-ს სასამართლო

მხარისათვის შეტყობინების მიზნით სხდომის დღის პუბლიკაციის მიზნით DDRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ბანკი "რესპუბლიკა"-ს საარბიტრაჟო პრეტენზია მამუკა აბესაძის და გიორგი აბესაძის მიმართ. ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დაინიშნულია 2009 წლის 11 სექტემბერს 12:00 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ "დავების განმხილველ ცენტრში" შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 71, 1-ლი სართული. ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე მამუკა აბესაძისათვის, მცხოვრები ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N16, ბინა N6; გიორგი აბესაძე, მცხოვრები ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N16, ბინა N6.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ქ. თბილისის 69-ე საჯარო სკოლა GEORGIAN MINISTRY OF SCIENCE AND EDUCATION 69th public school of Tbilisi 20 27.08.2009

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ ქ. თბილისის 69-ე საჯარო სკოლა, მდებარე გლდანის მასივი მე-7 მკ.რ აცხადებს ტენდერს სკოლის ფართის დროებითი ქვეიჯარის ფორმით მიზნობრივად გაცემასთან დაკავშირებით.

- 1. სკოლის პირველ სართულზე (დამოუკიდებელი იზოლირებული შესასვლელით) განთავსებულ 14 კვ.მ. ფართი ერთი წლის ვადით ქვეიჯარის ფორმით გაცემასთან დაკავშირებით, კომპიუტერული სწავლების მოსაწყობად საიჯარო ქირა საწყისი ფასი შეადგენს 100 ლარს.
2. სკოლის პირველ სართულზე განთავსებულ 70 კვ.მ. ფართზე სასკოლო ბუფეტის მოსაწყობად (50+20 კვ.მ ფართი) საწყისი 200 ლარი. ტენდერში მონაწილეობის უფლება აქვთ საგადასახადოში რეგისტრირებულ პირებს. სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენა პრედენდენტებს შეუძლიათ 2009 წლის 01 სექტემბრიდან ა.წ. 18 სექტემბრამდე დილის 10:00 საათიდან 15:00 საათამდე 69-ე საჯარო სკოლაში, მდებარე გლდანის მასივი მე-7 მკ/რ ტელ: 247078 გამარჯვებულად ითვლება ის პირი, რომელიც სკოლას შესთავაზებს საუკეთესო პირობებს და საიჯარო ქირის მეტ თანხას. კომისიის გადაწყვეტილება გამოქვეყნდება 2009 წლის 21 სექტემბერს სკოლაში განთავსებულ საჯარო დაფაზე.
განმცხადებელი: სატენდერო კომისია მის. თბილისი, გლდანის მასივი, მე-7 მ/რ 247078 899 976824

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობა (მისამართი: ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქ. N109. საიდენტიფიკაციო კოდი 231946623; საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. სახალხო ბანკის თერჯოლის ფილიალი, ბანკის კოდი 220101461; ანგ. N33030426) აცხადებს ტენდერს სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე.

2. შისიქის მუნიციპალიტეტი:

1. ლოტი: ქ. თერჯოლაში სახანძრო დაცვის შენობის მშენებლობა

სამუშაოების სრული ჩამონათვალი მითითებული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში.

3. სამუშაოს მიწოდების სავალდებულო ვადაა: ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 90 დღე.

4. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება ტენდერში მონაწილეობის შესახებ (დალუქვის გარეშე), საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, დედნისა და დამონებული ასლის სახით, დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 18 სექტემბერს 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თერჯოლა, რუსთაველის ქ. N109, თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობა, სატენდერო კომისიის აპარატი. დალუქული პაკეტები პრეტენდენტთა თანდასწრებით გაიხსნება 2009 წლის 18 სექტემბერს, 15 საათზე ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

განცხადებას თან უნდა ახლდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნუსხა, ხელმოწერილი განმცხადებლის მიერ.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს იურიდიული პირის გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება.

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

გ) ცნობა საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოდან იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ.

5.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან)

ბ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება. (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით)

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

დ) ინდ/მენარმის რეგისტრაციის საბუთი.

5.3 რომორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები)

ბ) ცნობა სამენარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

გ) მონაცემები ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ. (წარმოდგენილი უნდა იყოს საგადასახადო ინსპექციიდან)

დ) ინფორმაცია ტენდერში მონაწილე პირის ფინანსური მდგომარეობის შესახებ. (წარმოდგენილი უნდა იყოს აუდიტის დასკვნა)

ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული/შედგენილი უნდა იყოს წინამდებარე სატენდერო განცხადების გამოქვეყნების შემდგომ პერიოდში. საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა სავალდებულოა ასევე მონაწილე პირის სუბ-კონტრაქტორისათვის.

6. სატენდერო მოსაკრებლის - 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდგომ (სატენდერო მოსაკრებლის ანგარიში: მიმღები - ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, ანგარიშის N200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი-220101222, საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი-300203174. მოსაკრებლის დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ტენდერზე სამუშაოს შესასყიდად) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაცივმა 2009 წლის 18 სექტემბრამდე მისამართზე: ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქ. N109, თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობა, სატენდერო კომისიის აპარატი.

სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შესაძლებელია სატენდერო დოკუმენტაციის ადგილზე გაცნობა.

7. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ მხოლოდ ერთი წინადადება. ალტერნატიული წინადადების წარმოდგენა დაუშვებელია. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

8. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია-გაცემული ბანკის ან საქართველოში ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიის მიერ, სატენდერო წინადადების ღირებულების 1 %-ის ოდენობით)

9. ტენდერში გამოიყენება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია-გაცემული ბანკის ან საქართველოში ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიის მიერ, ხელშეკრულების ღირებულების 5 %-ის ოდენობით)

10. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადაში სრულყოფილად არ წარმოადგენს მოთხოვნილ ყველა ცნობასა და დოკუმენტაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

11. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნების შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

12. სატენდერო წინადადების მომზადებისას ტენდერში მონაწილე პირის მიერ დათვალეობის და დეტალურად შესწავლილი უნდა იქნას ჩასატარებელი სამუშაოების ადგილი.

13. პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების ღირებულება შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

14. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში მისამართზე: ქ.თერჯოლა, რუსთაველის ქ. N109, თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საკონტაქტო პირი - მარინე კოლუაშვილი, ტ- 895 90 08 07

სატენდერო კომისია

ბ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა

ერთეტიანი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისი, 0177 ვაჟა ფშაველას გამზ. №33, საკუთარი შემოსავლების ფარგლებში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს სამედიცინო მასალის და რეაქტივების შესყიდვაზე (4 ლოტი) და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის საჭიროების ჩამონათვალი:

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საჭიროებისთვის სამედიცინო მასალა და რეაქტივები:

Table with 2 columns: Lot number (ლოტი) and Description (აღწერა). Lot 1: Laboratory reagents and consumables. Lot 2: Laboratory reagents and consumables. Lot 3: Bacteriological laboratory diagnostic reagents. Lot 4: Laboratory reagents and consumables.

3. საჭიროების მიწოდების პირობები - საჭიროების მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, ცალკეული პოზიციების მიხედვით, შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე 2009 წლის სექტემბრიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4. მიწოდების ადგილი: სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისი, 0177 ვაჟა ფშაველას გამზ. №33 და უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები.

5. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები სამ ეკვპლარად (დალუქულ პაკეტში, ერთი დეფანი, ორი ასლი), ქართულ ენაზე, უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 21 სექტემბრის 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისი, 0177 ვაჟა ფშაველას გამზ. №33, მე-3 სართული, ოთახი №319. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ზემოაღნიშნულ მისამართზე (II სართ. ოთახი №225) 2009 წლის 21 სექტემბერს 16 საათზე (ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწონან სატენდერო წინადადებების გახსნას).

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1. იურიდიული პირისთვის:

- ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

6.2. ფიზიკური პირისთვის:

- ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

6.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისთვის:

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის (გადახდისუნარობის) საქმის წარმოება;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ;

დ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

ე) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ვ) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისთვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ საჭიროებისამებრ).

7. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა საკვალდებულოა ასევე მონაწილე პირის სუბკონტრაქტორებისთვის.

8. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო დოკუმენტების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნების შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული, თარგმანის სახით.

9. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოაღნიშნულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

10. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2009 წლის 21 სექტემბრის 12 საათამდე, 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, ანგარიშზე: მიმღები თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ს/კ 211328703, „თი-ბი-სი“ ბანკის მარჯანიშვილის ფილიალი, კოდი 220101850, ა/ა №609 229. გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, სამედიცინო მასალა და რეაქტივები. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა მოხდება შემდეგ მისამართზე: სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისი, 0177 ვაჟა ფშაველას გამზ. №33, ოთახი №319.

11. ტენდერში მონაწილე პირების მიერ წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმების შესახებ ინფორმაცია, შერჩევის დროს, შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

12. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს შეუძლიათ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე.

13. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისგან: თინათინ ჭანტუაძე. მისამართზე: სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისი, 0177 ვაჟა ფშაველას გამზ. №33, ოთახი №319 ტელ: 54-24-59.

სატენდერო კომისია

ბ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - კიბერნეტიკის ინსტიტუტი აცხადებს ღია კონკურსს სამეცნიერო-სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების თანამდებობების დასაკავებლად:

- მათემატიკური კიბერნეტიკის განყოფილების გამგე - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი - 1 სამშატო ერთეული.
- სტოქასტური ანალიზისა და მათემატიკური მოდელირების განყოფილების გამგე - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი - 1 ს.ე.
- სახეთა ამოცნობის გამოყენებით სისტემების განყოფილების გამგე - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი - 1 ს.ე.
- ბიოკიბერნეტიკული სისტემების განყოფილების გამგე - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი - 1 ს.ე.
- გამოთვლითი ტექნიკის ელემენტებისა და ნანომასალების განყოფილების გამგე - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი - 1 ს.ე.
- კოჰერენტული და კვანტური ოპტიკის განყოფილების გამგე - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი - 1 ს.ე.
- ინფორმაციის ჰოლოგრაფიული ჩანერისა და დამუშავების ლაბორატორიის გამგე - უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 1 ს.ე.
- ოპტიკურად მართვადი ანიზოტროპული სისტემების განყოფილების გამგე - მთავარი მეცნიერი თანამშრომელი - 1 ს.ე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

- განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მონომობის ასლი;
- კალენდარული ავტობიოგრაფია;
- დოქტორის აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
- გამოქვეყნებული ძირითადი, მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში, სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;
- სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი (სასურველია);
- პატენტების, საავტორო მონომობების, ლიცენზიების და გამოყენების აქტების ჩამონათვალი (სასურველია);
- დადასტურებული ინფორმაცია სახელმწიფო სამეცნიერო პრემიის ან დარგობრივი სამეცნიერო პრემიის მიღების შესახებ (სასურველია);
- დადასტურებული ინფორმაცია საერთაშორისო სამეცნიერო ასოციაციის წევრობის შესახებ (სასურველია);
საბუთების წარმოდგენის ვადაა 2009 წლის 21 სექტემბრის 14 საათამდე პრესაში განცხადების გამოქვეყნების დღიდან.
დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ მისამართზე: 0186 თბილისი, სანდრო ეულის ქუჩა N5, კიბერნეტიკის ინსტიტუტი, პასუხისმგებელი პირი გიორგი მუმლაძე - ტელ. 18 76 33, ელ.ფოსტა: megiorgi@yahoo.com

ბ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მსხვილ გადასახდელთა საგადასახადო ინსპექცია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 88-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2005 წლის 25 იანვრის №10 დადგენილებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად ატარებს პირველად აუქციონს, რომელზეც გასაყიდად გამოტანილი იქნება შპს „ნოლა“-ს (ს.ნ. 211372860) კუთვნილი ქონება, კერძოდ:

Table with 6 columns: №, დასახელება (Description), ზომის ერთეული (Unit), რაოდენობა (Quantity), ერთეულის ღირებულება (ლარი) (Unit Price), მთლიანი ღირებულება (ლარი) (Total Price). Items include KRAZ-6510 trucks, KRAZ-5133 trucks, SCHWING-BRA 500 trucks, Q&K-L 45 trucks, LB 95B-4PT trucks, and bobkat-s 250 trucks.

(შეფასებულია სსიპ „დევეან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ).

დაყიდადებული ქონება განთავსებულია მისამართზე: ქ. თბილისი, ფეიქრების ქ. №14, გუდიაშვილის ქ. №7 და სტანისლავსკის ქ. №8

აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 28 სექტემბერს დღის 12 საათზე, მისამართზე: ქ. თბილისი, ც. დადიანის ქუჩა №30, მსხვილ გადასახდელთა საგადასახადო ინსპექციის შენობაში.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებული არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინონ აუქციონის დაწყებამდე. აუქციონში მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადგომოზე ანგარიშზე წინასწარ შეიტანოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შექმნასაც აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში. ნებისმიერი მყიდველი, რომელიც აუქციონზე შეისყიდის ქონებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს მის მიერ შემოთავაზებული ფასის სულ ცოტა ნახევარი, ან 5000 ლარი უმცირესი თანხის მიხედვით, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა დაიფაროს რეალიზაციიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. თანხის მთლიანად დაფარვამდე მყიდველს არ გააჩნია ქონებაზე საკუთრების უფლება. ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მსხვილ გადასახდელთა საგადასახადო ინსპექციასთან შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოსატან ქონებას.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, მსურველები 2009 წლის 28 სექტემბრამდე დაგვიკავშირდნენ მსხვილ გადასახდელთა საგადასახადო ინსპექციაში ტელეფონზე: 262-169.

ბანკსა და ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (მის: თბილისი, 0160, პეკინის ქ. №30) სამინისტროს ცენტრალური აპარატის 2009 წლის ასიგნებების ფარგლებში, აცხადებს ერთეულოვან ტენდერს სასერვერო და კომპიუტერული ტექნიკისა და პერიფერიული მოწყობილობების სახელმწიფო შესყიდვაზე 2 ლოტად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტი:

